საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 27 დეკემბერი. 2019 წ. №258 (8924) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ინფორმაციის სიჭარბის მომაკვდინებელი ცოდვები

ტროლები და ბოტები „ცუდი ტიპები“ ბრძანდებიან...

4

დეზინფორმაციის წინაშე ყველა ქვეყანა დაუცველია. თუ ამერიკა შეიძლება იყოს დაუცველი, რატომ იქნება საქართველო გამონაკლისი. საქართველოზე გავლენის მოპოვების ბევრად უფრო მეტი საშუალება მოიძებნება, ვიდრე ამერიკაზე. ამიტომაც, საქართველო ბევრად უფრო დაუცველია.

შერჩევითობა უნდა დასრულდეს, ყველამ უნდა გადაიხადოს ბიუჯეტის დავალიანება!

ყველა კერძო კომპანიამ, მათ შორის ტელევიზიებმა გადაიხადონ ის დავალიანება, რაც უკვე მრავალი თვეა, აქვთ სახელმწიფოს ბიუჯეტის წინაშე, რადგან ეს სახელმწიფო ბიუჯეტი არ ეკუთვნის რომელიმე მინისტრს ან კერძო კომპანიას, მათ შორის ტელევიზიებს, ეს სახელმწიფო ბიუჯეტი ეკუთვნის მათ, ვინც ჩვენ გვისმენს, ანუ ხალხს. შესაბამისად, ხალხს უნდა დაუბრუნდეს ის ფული, რაც მათ ეკუთვნით.

თეა წულუკიანი

TV პირველი | ტელეკომპანია ერისი

მოდელირებული ნაცაქციები

3

ხოხ, გიცანით, გიცანით!..

„რასან ამდენი ბავშვი ადვილად ხელყოფს თავის სიცოცხლეს, ე. ი. მათი ფსიქიკური მდგომარეობა არ არის წესრიგში“

5

ამ ცხოვრების დედაც!..

შერჩეულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის ექვსი კანდიდატი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის ექვსი კანდიდატი შეარჩია.

შერჩეული კანდიდატები არიან ილონა თოდუა, რომელმაც საბჭოს რვა წევრის მხარდაჭერა მიიღო, ნინო სანდოძე (ცხრა ხმით), გიორგი ტყავაძე (ცხრა ხმით), გენადი მაკარიძე (შვიდი ხმით), პაატა სილაგაძე (შვიდი ხმით), თეა ძიმისტარაშვილი (შვიდი ხმით).

შერჩეული კანდიდატურები დასამტკიცებლად საკანონმდებლო ორგანოს გადაეგზავნება.

საბჭომ სხდომაზე ექვსი კანდიდატი კონკურსის ფარგლებში გასაუბრების ეტაპზე გადასული 50 კანდიდატიდან შეარჩია. მას შემდეგ, რაც უზენაეს სასამართლოში არსებულ 20 ვაკანტურ ადგილზე პარლამენტში დაამტკიცეს 14 მოსამართლე, უმაღლეს ინსტანციაში დარჩა ექვსი ვაკანტური ადგილი. ვინაიდან კანდიდატებს უკვე აქვთ გავლილი გასაუბრება საბჭოში, აღნიშნულ პროცედურას მოსამართლეები მხოლოდ პარლამენტში გაივლიან. იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო ორგანოში კვლავ ვერ მოხდება აღნიშნული ვაკანსიების შევსება, კონკურსი ხელახლა გამოცხადდება.

ავღანეთში საქართველოს ახალი სამხედრო წარმომადგენელი მალხაზ მელქაძეა

დეკემბრის თვიდან ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს ახალი უფროსი სამხედრო წარმომადგენელი ჰყავს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პოლკოვნიკი ზაქარია კალანდაძე პოლკოვნიკმა მალხაზ მელქაძემ შეცვალა.

მათივე ცნობით, ახალი სამხედრო წარმომადგენელი უკვე ესტუმრა ყველა იმ ბაზას, სადაც „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის ფარგლებში ქართული ქვედანაყოფები არიან დისლოცირებული.

„პოლკოვნიკმა მალხაზ მელქაძემ ქართველი სამხედრო მეთაურებისგან პირადად მოისმინა ოპერაციის ზონაში არსებული მდგომარეობა და ქართველ ჯარისკაცებს სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.

ავღანეთის მტკიცე მხარდაჭერის მისიაში უფროსი სამხედრო წარმომადგენლის ფუნქციაა, მხარი დაუჭიროს ქართულ სამშვიდობო ქვედანაყოფებს, აწარმოოს პირადი შემადგენლობის მოთხოვნების მონიტორინგი და მხარდაჭერა, ასევე უზრუნველყოს მაღალი დონის დელეგაციების ვიზიტების ორგანიზება და კოორდინაცია“, — ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ყოფილი უფროსი სამხედრო წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ზაქარია კალანდაძე „მტკიცე მხარდამჭერის“ მისიის შტაბის უფროსის მოადგილემ უსაფრთხოების საკითხებში, ბრიგადის გენერალმა ნიკოლოზ ჯანჯღავამ სამშვიდობო მისიის მედლით დააჯილდოვა.

შაორის ტბაში 600 ცალი ნაკადულის კალმახი გაუშვეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ველური ბუნების სააგენტომ 600 ცალი „საქართველოს წითელი ნუსხის“ სახეობა ნაკადულის მოზრდილი კალმახი ტბა შაორში გაუშვა.

ველური ბუნების სააგენტოსა და კომპანია შპს შაორის ტბის ერთობლივი პროექტი მიზნად შაორის ტბაზე ნაკადულის კალმახის პოპულაციის აღდგენას ისახავს. 2016 წლის სექტემბრიდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო ახალ პროექტს ახორციელებს, რომელიც საქართველოს "წითელი ნუსხის" სახეობის, ნაკადულის კალმახის გამრავლებას ითვალისწინებს.

ტერიტორიაზე განხორციელდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, აშენდა ორი ტბორი და 8 რკინა-ბეტონის სპეციალური აუზი. ამ დროისთვის ხელოვნურად გამოჩეკილია 20 000 ცალზე მეტი ნაკადულის კალმახის ლიფსიტა. მეურნეობის გეგმაა წელიწადში ნახევარი მილიონი ლიფსიტის წარმოება და მდინარეების გათევზიანება.

გია ვოლსკი კულტურის სამინისტროს „განმარტებას“ მხარს უჭერს!

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის გია ვოლსკის მოსაზრებით, კულტურის დარგს გაცილებით მეტი პატრონობა სჭირდება და ამ მიზნით, დარგს ხელმძღვანელი უნდა ჰყავდეს.

გია ვოლსკი აღნიშნავს, რომ ეს შეიძლება, გამსხვილებული სამინისტროს ფორმატშიც იყოს და შეიძლება – ცალკე უწყებადაც.

„დამატებითი სახელმწიფო დანახარჯების გარეშე უფრო ეფექტური იყო სამინისტრო, თუმცა არ მგონია, რომ ეს არის პანაცეა. გადაწყვეტილება ეფექტური მაშინ არის, როცა ხალხი დარგის მიმართ თავის ინტელექტუალურ რესურსს ამჟღავნებს და ამას შესაბამისი ორგანიზატორი, მეთაური ჰყავს. მხოლოდ სამინისტროს გამოყოფა ვერ იქნება კულტურის დარგის გამაძლიერებელი, მაგრამ თუ ეს წინაპირობაა, რატომაც არა“.

თეა წულუკიანი: ჩვენთვის კანონიერი გადაწყვეტილება ექიმის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლება იქნება

საქართველოს იუსტიციის მინისტრის, ვიცე-პრემიერ თეა წულუკიანის განცხადებით, ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის გასათავისუფლებლად ყველაფერი კეთდება.

წულუკიანის თქმით, მნიშვნელობა არა აქვს, ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლები რას მიიჩნევენ კანონიერად. მინისტრი განმარტავს, რომ კანონიერი გადაწყვეტილება ექიმის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლება იქნება. **„ჩვენ, რა თქმა უნდა, ვაგრძელებთ მუშაობას მთელ ქვეყანაში, მთავრობის ძალისხმევა არის უპრეცედენტო და მომავალშიც გაგრძელდება ეს პროცესი. რაც შეეხება არაღიარებული, ე.წ. ხელისუფლების და მისი წარმომადგენლების განცხადებებს, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არა აქვს, ისინი რას თვლიან კანონიერად, კანონიერად ჩვენ ვთვლით იმ გადაწყვეტილებას, რაც იქნება ექიმის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლება“,** – განაცხადა თეა წულუკიანმა.

ხალხის ხარჯზე რატომ უნდა ფუნქციონირებდეს ტელევიზიები?!

კერძო ტელევიზიები გადასახადების გადამხდელების ხარჯზე არ უნდა ფუნქციონირებდნენ, – განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ. ის ფინანსთა სამინისტროს მიერ ტელევიზიებზე ინკასოს დადებას გამოეხმაურა.

„თემას არ ვიცნობ, მაგრამ დავალიანება თუ აქვთ, რა თქმა უნდა, გადასახდელია. ხალხის ხარჯზე რატომ უნდა ფუნქციონირებდეს ტელევიზიები. ეს არასწორია,“ – განაცხადა კახა კალაძემ. ტელეკომპანიებს: „რუსთავი-2-ს“, „პირველსა“ და „კავკასიას“ ანგარიშებზე ინკასო 25 დეკემბერს დაედო. ფინანსთა სამინისტრო კომპანიებისგან დავალიანების დაფარვას ითხოვს.

გიორგი ბაგრატიონმა დაცული ობიექტები დაათვალიერა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი ბაგრატიონმა იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარის რეგიონები მოინახულა. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, ფოთის პორტი, ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი და რეგიონში არსებული სხვა სტრატეგიული ობიექტები მოინახულა.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციით, გიორგი ბაგრატიონი თითოეული რეგიონის პირად შემადგენლობას შეხვდა და რეგიონების პრობლემატიკას, გამოწვევებსა და სამომავლოდ დაგეგმილ პროექტებს ადგილზე გაეცნო.

კახეთის რეგიონში მესაქონლეობის ახალი ფერმა ამოქმედდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოდბეში, თანამედროვე სტანდარტების, ახლადგახსნილი მესაქონლეობის ფერმა შპს „თეთრი ფერმა“ დაათვალიერა და სამუშაო პროცესს გაეცნო.

„ეს ფერმა ნამდვილად გამორჩეული და ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. აქ დაცულია ყველა ის სტანდარტი, რაც დღეს მესაქონლეობის და სურსათის უვნებლობის კუთხით არსებობს. ეს არის ნათელი მაგალითი, თუ რა მნიშვნელოვანი შედეგი მოაქვს სახელმწი-

ფოს მიერ განხორციელებულ პროგრამებს, პროგრამებს, რომლებიც პასუხობს ყველა იმ გამოწვევას, რაც მესაქონლეობის კუთხით არსებობს და რაზეც, სამინისტრო ბოლო წლებში ინტენსიურად მუშაობს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში გვქონდეს სულ უფრო მეტიმაღალპროდუქტიული, ეკონომიკურად ძლიერი, განვითარებული ფერმა, სადაც ყველა სტანდარტი დაცული და გათვალისწინებული იქნება. ეს საშუალებას მოგვცემს, გავზარდოთ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მესაქონლეობის მიმართულებით“, – აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

ფერმა სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში აშენდა. პროექტში ჯამურად, 15 200 000 ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა. აქედან, 1 500 000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი, ხოლო დანარჩენი თანხა ბენეფიციარის ინვესტიციაა. „თეთრი ფერმა“ ნიდერლანდურ-ქართული ინვესტიციით შექმნილი კომპანიაა, რომელიც ყოველდღიურად აწარმოებს პირველი კატეგორიის 10 ტონა ნედლ რძეს. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე ხორციელდება. კომპანიაში, მუდმივად დასაქმებულია 35 ადგილობრივი მცხოვრები.

ელექტროენერგიის იმპორტი 2020 წელს, სავარაუდოდ, შემცირდება, ექსპორტი კი გაიზრდება

2020 წლის საპროგნოზო ბალანსის მიხედვით, საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის მოცულობა მცირდება, ექსპორტის კი იზრდება. იმპორტის საპროგნოზო მაჩვენებელი 2020 წლისთვის 1253.9 მილიონი კვტ.სთ-ს შეადგენს, 2019 წლის ბალანსში კი, აღნიშნული მაჩვენებელი 1545.0 მილიონ კვტ.სთ-ია.

ექსპორტი 2020 წელს, სავარაუდოდ, 577.8 მილიონი კვტ.სთ იქნება, მიმდინარე წელს კი, 259.3 მილიონი კვტ.სთ-ს შეადგენდა. 2020 წელს ადგილობრივი გენერაციის გამომუშავება, არსებული ინფორმაციით, დაახლოებით 11 პროცენტით გაიზრდება, რაც ჰესების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების გაზრდას უკავშირდება.

დევნილთა და ეკომიგრანტთა დასახმარებლად ახალი სააგენტო შეიქმნა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორი ბესარიონ სიმონიშვილი წარადგინა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წლის დეკემბერში შექმნილი სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიზანს დევნილთა და ეკომიგრანტთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება წარმოადგენს.

„სააგენტოს შექმნა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ მოქალაქეებზე ზრუნვა, რომლებიც საომარი მოქმედებებისა თუ სტიქიური უბედურებების გამო იძულებულნი გახდნენ, საკუთარი სახლები დაეტოვებინათ, სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები ყოველწლიურად იზრდება“, – აცხადებენ ჯანდაცვის სამინისტროში.

უწყების ცნობით, სააგენტო, განსახლების პარალელურად, დევნილთა და ეკომიგრანტთა დასაქმების საკითხებზეც იმუშავებს და არაერთ მიზნობრივ პროექტს განახორციელებს.

„2020 წლიდან სააგენტოს გუნდი კიდევ უფრო აქტიურად გააგრძელებს მუშაობას, რათა თითოეულ დევნილ ოჯახს, საკუთარ სახლებში დაბრუნებამდე, ღირსეული საცხოვრებელი პირობები, ხოლო თითოეულ ეკომიგრანტ ოჯახს უსაფრთხო გარემო შეუქმნას“, – აცხადებენ ჯანდაცვის სამინისტროში.

ბაზრებსა და ბაზრობებზე ერთ თვეში სავაჭრო ბრუნვამ 302 მილიონი ლარი შეადგინა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2019 წლის ოქტომბერში საქართველოში ფუნქციონირებდა ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული 208 ეკონომიკური სუბიექტი, რომელთა 30,8 პროცენტი ქ. თბილისშია, ხოლო 20,7 პროცენტი – იმერეთის; 12,0 პროცენტი – სამეგრელო-ზემო სვანეთის; 12,0 პროცენტი – კახეთის; 7,2 პროცენტი – ქვემო ქართლის; 5,3 პროცენტი – აჭარის; 4,3 პროცენტი – შიდა ქართლის; 2,9 პროცენტი – სამცხე-ჯავახეთის; 1,9 პროცენტი – გურიის; 1,9 პროცენტი – მცხეთა-მთიანეთის; 1,0 პროცენტი – რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებშია განთავსებული.

გარდა ამისა, ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტებისათვის ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის წილად მოდის მოქმედი ბაზრების და ბაზრობების საერთო რაოდენობის 76,4 პროცენტი, ინდივიდუალური მეწარმეების წილად კი – 21,1 პროცენტი. ბაზრების და ბაზრობების დანარჩენ ნაწილს გააჩნია სააქციო საზოგადოების (1,0 პროცენტი), კოოპერატივის (1,0 პროცენტი) და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (0,5 პროცენტი) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

2019 წლის ოქტომბერში, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ ბაზრებსა და ბაზრობებზე 45,1 ათასი კაცი ვაჭრობდა, რომელთა 44,3 პროცენტი ქალაქ თბილისზე მოდის, ხოლო 14,2 პროცენტი – იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, 9,8 პროცენტი – ქვემო ქართლის, 9,1 პროცენტი – კახეთის, 7,5 პროცენტი – აჭარის, 7,5 პროცენტი – სამეგრელო-ზემო სვანეთის, 3,6 პროცენტი – შიდა ქართლის, 1,8 პროცენტი – სამცხე-ჯავახეთის, 1,3 პროცენტი – მცხეთა-მთიანეთის და 0,9 პროცენტი – გურიის რეგიონზე ნაწილდება.

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2019 წლის ოქტომბერში საქართველოს ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების მიერ რეალიზებულია 302,0 მილიონი ლარის ღირებულების სამომხმარებლო საქონელი (ავტომობილების გარდა), რომელთა 19,9 პროცენტი სასურსათო საქონელზე მოდის, 74,4 პროცენტი – არასასურსათო საქონელზე, ხოლო 5,7 პროცენტს ცხოველების და ფრინველების ჯგუფი შეადგენს. 90,6 მილონი ლარის ოდენობით შეფასდა ავტომობილებით მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების სავაჭრო ბრუნვის მოცულობა. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ბაზრების და ბაზრობების ტერიტორიაზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების ბრუნვის მოცულობის 61,5 პროცენტი ქალაქ თბილისზე მოდის, ხოლო 12,3 პროცენტი – იმერეთის; რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის; 7,0 პროცენტი – ქვემო ქართლის; 5,0 პროცენტი – აჭარის; 5,0 პროცენტი – სამეგრელო-ზემო სვანეთის; 3,4 პროცენტი – კახეთის; 3,3 პროცენტი – სამცხე-ჯავახეთის; 2,1 პროცენტი – შიდა ქართლის; 0,2 პროცენტი – მცხეთა-მთიანეთის და 0,2 პროცენტი – გურიის რეგიონზე ნაწილდება.

„კომერსანტი“

◎ მოდელირებული ნაცაქციები

ხოხ, გიცანით, გიცანით!...

„გაერთიანებული ოპოზიციის“, ანუ ოცდათორმეტმეტასტაზიანი „ნაცმოძრაობის“ სერიულმა აქციებმა ერთი ანეკდოტური შემთხვევა გამახსენა წარსულიდან:

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მთელ საბჭოთა კავშირში დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოს ცეკას მაშინდელი პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე. ამ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის პირველივე დღეებიდან ამხანაგმა ედუარდმა სახელი მოიხვეჭა როგორც ენერგიულმა, გაბედულმა, პრინციპულმა და არასტანდარტული გადაწყვეტილებებით გამორჩეულმა ხელმძღვანელმა. მისი კოზირებიდან, ამ კონკრეტული წერილის მიზნებისთვის, გავიხსენებდი იმ პერიოდისთვის სრულიად უცხო კრეატიულობას და გაკეთებულის წარმოჩენის საოცარ უნარს. ამას ახლა პიარი და რეკლამა ჰქვია, რაც იმ დროში, ვიმეორებ, უცხო ხილი იყო.

არასტანდარტული გადაწყვეტილებების ერთ-ერთი მაგალითი გახლდათ ინიციატივა, სახელწოდებით — „აბაშის ექსპერიმენტი“. ქართველი კომუნისტი ლიდერების მტკიცებით, ამ ინიციატივას **„რევოლუციური ძვრები“** უნდა მოეხდინა სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ექსპერიმენტმა ისე გაითქვა სახელი, რომ მაღალმა პარტიულმა ელიტამ მის გასაცნობად, კრემლიდან თვით პრემიერ-მინისტრი ალექსეი ნიკოლაევიჩ კოსიგინი მიავლინა აბაშაში.

დიდი მოსკოველი სტუმარი ორი დღის განმავლობაში ბედნიერი სახით დაჰყვებოდა მკლავებდაკაპიწებულ საქმიან მასპინძლებს პლანტაციიდან პლანტაციაში, ყანიდან — ყანაში, ფერმიდან — ფერმაში...

ქართველი რისი ქართველია, ამბავი ცოტა თუ არ გააზვიადა, მით უმეტეს, სტუმრის გულის მოსაგებად და... მეცხოველეობის დარგში წარმატება უფრო შთამბეჭდავად რომ წარმოეჩინათ, რაც კი ნარჩევი ძროხა იყო აბაშის და მის მეზობელ ერთ-ორ რაიონში, ყველას ერთ ფერმაში მოუყარეს თავი... ამხანაგი კოსიგინი ნანახით აღტაცებას ვერ მალავდა...

შექებით ფრთებშესხმულ მასპინძლებში ახალ-ახალმა „კრეატიულმა“ იდეებმა იფეთქა თურმე და ვიდრე „მაღალი სტუმარი“ სხვა გაცნობითი ექსკურსიებითა და ექსკურსიებს შორის შესვენებებით იყო დაკავებული, ეს ძროხები შეასკუპეს ძარიან სატვირთო მანქანებზე და ახლა სხვა ფერმა გაალამაზეს მათი საგანგებოდ ნასუქი სილუეტებით. როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, კოსიგინის კმაყოფილების ხარისხმა ჯერ არითმეტიკული პროგრესიით, ხოლო ყოველივე ეს მეორე ამ (რომლის გამჟღავნებაზეც, ცოტა უფრო ძველ დროში, საბჭოთა მოქალაქე სიცოცხლით აგებდა პასუხს), სხვადასხვა ფორმით, ჩვენამდეც, ანუ ხალხამდეც მოაღწია. მე ყველაზე უფრო მეგრული ფრთხილი იუმორით მოყოლილი ამბავი დამახსომდა — **„კი ბატონო, ამხანაგმა კოსიგინმა ვერ იცნო და ვერ მიხვდა, ისევ ის ძროხები რომ იყო, მარა... ხოხ... ძროხებმა როგორ ვერ იცნეს კოსიგინი?!“**

ეს შემთხვევა გამახსენდა ახლა, სხვადასხვა ქალაქიდან, ნაცტელევიზიების მიერ გაშუქებულ, დიდი **„რევოლუციური ძვრებისთვის“** ორგანიზებულ ნაცაქციებს რომ ვუყურებდი. საწყალი რეჟისორები და ოპერატორები, დავალებისამებრ, ახლო პლანით და დაბალი კუთხით რომ ცდილობდნენ „ხალხმრავლობის“ მოდელირებას და ის კი ყველას გამორჩა, რომ ამ რაკურსით სახეები კარგად ჩანს ხოლმე... ერთი და იგივე სახეები... გიცანით, გიცანით!..

ბიძინა დვალი,
ბათუმი.
24.12.2019

2020 წლის ბიუჯეტიდან რეგიონებს უკვე გამოეყო 128 მილიონი ლარი 262 პროექტის დასაფინანსებლად

რეგიონებში **განსახორციელებელი პროექტებისათვის 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებს გამოეყოთ 250 მილიონი ლარი. ინფორმაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს. აქედან, ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტებზე უკვე განაწილდა 128 მილიონი ლარი 262 პროექტის დასაფინანსებლად. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში რეგფონდიდან მხოლოდ 90.5 მილიონი ლარის ღირებულების 191 პროექტი იყო დაფინანსებული.**

მომავალ წელს, ფონდის ბიუჯეტის ფარგლებში, ყველაზე მეტი პროექტი საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელდება. სულ დაგეგმილია 365 კმ გზის რეაბილიტაცია, რასაც რეგიონული ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთობლივად 114 მილიონი ლარზე მეტი მოხმარდება.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 12 სოფელში დაფინანსდება წყალმომარაგების სისტემების განახლების პროექტები, ასევე სხვადასხვა მუნიციპალიტეტში დაგეგმილია საბავშვო ბაღების, მრავალბინიანი კორპუსების, კულტურული ობიექტების, სპორტული ინფრასტრუქტურის, გარე განათების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია.

რეგიონული ფონდიდან მუნიციპალიტეტებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცესი გრძელდება.

რაც შეეხება მიმდინარე წელს, ფონდიდან 2018 წელთან შედარებით 393 პროექტით მეტი, ჯამში — 1201 პროექტი დაფინანსდა. აქედან 405 პროექტი ჯანდაცვის ინფრასტრუტურის მიმართულებით განხორციელდა. რეგფონდიდან წელს პირველად დაფინანსდა მუნიციპალიტეტებში სტიქიის პრევენციის მცირე სამუშაოები“.

საქართველო 2020 წელს გაზის 92.7 პროცენტს აზერბაიჯანიდან მიიღებს, ხოლო 6.6 პროცენტს — რუსეთიდან

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ 2020 წლის გაზის ბალანსი დაამტკიცა. დოკუმენტის მიხედვით, საქართველოში გაზის მოწოდების საპროგნოზო მოცულობა 2.57 მილიარდი კუბური მეტრია.

2.39 მილიარდ კუბურ მეტრს, ანუ მთლიანი მოცულობის 92.7 პროცენტს საქართველო აზერბაიჯანიდან მიიღებს, მათ შორის „სოკარისგან“ 1.51 მილიარდ კუბურ მეტრს, შაჰ-დენიზის საბადოდან კი — 873.8 მილიონ კუბურ მეტრს.

169.9 მილიონი კუბური მეტრი აირის მიღებაა გათვალისწინებული რუსეთიდან (6.6 პროცენტი), ადგილობრივი მოპოვების საპროგნოზო მოცულობა კი 17.9 მილიონი კუბური მეტრია (0.7 პროცენტი).

რაც შეეხება მოხმარებას, 2020 წელს ე.წ. სოციალური გაზის საპროგნოზო მოცულობა 1.6 მილიარდი კუბური მეტრია, მათ შორის მოსახლეობის მოხმარება ერთ მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს, თბოელექტროსადგურების კი — 600 მილიონ კუბურ მეტრს.

კომერციული სექტორის საპროგნოზო მოხმარება 911 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, გაზის დანაკარგი კი სავარაუდოდ, 35 მილიონი კუბური მეტრი იქნება. 2019 წლის საპროგნოზო ბალანსთან შედარებით, საქართველოში 2020 წელს გაზის მოწოდებისა და მოხმარების კლებაა გათვალისწინებული. თუმცა, 2019 წლის ბალანსი ბოლოს მაისში ჩასწორდა. შესაბამისად, შესაძლოა, წლის ფაქტობრივი მაჩვენებელი საპროგნოზოსგან განსხვავებული იყოს.

„თავისუფლების სიგნალი“

ვაჟა გაფრინდაშვილის მხარდასაჭერად 29 დეკემბერს სოლიდარობის აქცია გაიმართება

ცხინვალის **საოკუპაციო რეჟიმის მიერ დაკავებული ექიმის ვაჟა გაფრინდაშვილის მხარდასაჭერად 29 დეკემბერს სოლიდარობის აქცია „თავისუფლების სიგნალი“ გაიმართება.**

ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახის მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით, 29 დეკემბერს იგეგმება, საქართველოს ყველა ქალაქში, სოფელსა და ასევე მსოფლიოში, სადაც ქართველი ემიგრანტები ცხოვრობენ, 19:00 საათზე „თავისუფლების სიგნალი“ გაისმას. ამავე განცხადებით გაფრინდაშვილის ოჯახი ყველას მოუწოდებს, შეუერთდნენ „თავისუფლების სიგნალს“.



„და კვლავაც, მეგობრებო, შობისა და ახალი წლის დღეებს სხვანაირი მაგია აქვთ, მოდუნებისა და ძველი ტკივილების წაყრუებისმაგვარი მაგია. ამიტომაც, ეს საქმე მომავლისკენ მიბრუნებულ მზერასაც გულისხმობს. თუმცა ზოგჯერ არის ძველი წლის მწარე წილი, რომლის გახსენების გარეშე მომავალი ვერ იარსებებს — უბრალოდ მომავალი, თორემ ბედნიერი და თავისუფალი — მით უფრო. ახლა ეს წილი ვაჟა გაფრინდაშვილია.

ჩვენ გადავწყვიტეთ, სიფხიზლისთვის, 29 დეკემბერს საქართველოში და მსოფლიოში, სადაც ქართველი ემიგრანტები ცხოვრობენ, თავისუფლების სიგნალი გაისმას!

ეს იქნება დიდი და მნიშვნელოვანი — თავისუფლების სიგნალი, რომელსაც უპირველესად გავიგონებთ ჩვენ და ჩვენთან ერთად გაიგონებს მთელი მსოფლიო! გაიგონებენ პაციენტები და ექიმები, ექიმები და პაციენტები მთელი მსოფლიოდან და მათ შორის, ოსი ექიმები და პაციენტები, რომლებთანაც დროებით გაუგებრობამ გაგვყო. გავიგონებთ და გავიხსენებთ, რომ არ არსებობს იმაზე დიდი მნიშვნელოვანი რამ, იმაზე ზუსტი ნიშანი ადამიანად ყოფნის, ვიდრე თავისუფლებაა! და რომ თითოეული ადამიანის თავისუფლება არის ჩვენი, მილიონობით ადამიანის თავისუფლების საყრდენი და ეს სიგნალი იქნება ყველა ადამიანისთვის, ვისაც თავისუფლება უკანონოდ შეეზღუდა! და ეს სიგნალი იქნება იმედის სიგნალიც, რომ სასწაულები ხდება, და რომ სასწაულებს ხანდახან ადამიანებიც ახდენენ, ოღონდ ამისთვის ჩვენ ერთობლივი ძალისხმევა გვჭირდება! ცხადია, სიგნალი სიმბოლურია და პარალელურად უამრავ ნაბიჯს ვდგამთ, მაგრამ ხანდახან ნაბიჯებს ზურგის ქარიც სჭირდება. ქარი, რომელიც ყველა თქვენგანის მხარდაჭერას ნიშნავს!“ — ნათქვამია განცხადებაში.

ტროლები და ბოტები „ცუდი ტიპები“ ბრძანდებიან...

ინფორმაციის **და ახალი ამბების მიღება დღეს მობილური ტელეფონების გამოყენებით რამდენიმე წამში შეგვიძლია. შედეგად, ტრადიციული მედიასაშუალებები პოპულარობას კარგავენ. თუმცა, ეს დღეს მედიის ერთადერთი გამოწვევა არაა. ავტორიტარულმა რეჟიმებმა ისწავლეს, თუ როგორ გამოიყენონ თანამედროვე ინფორმაციის გაცვლის საშუალებები, როგორიცაა სოციალური მედია დეზინფორმაციის გასავრცელებლად, ადამიანების დასაბნევად და ერთამენთთან დასაპირისპირებლად.**

როგორ უნდა ებრძოლონ დეზინფორმაციას ისეთი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, ამ და სხვა თემებზე, „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი ავტორსა და მკვლევარს პიტერ პომერანცევს ესაუბრა.

ინფორმაციის სიჭარბის მომაკვდინებელი ცოდვები

— რა საფრთხეს წარმოადგენს დეზინფორმაცია დემოკრატიისთვის და ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა? და რა მნიშვნელობა აქვს თავისუფალ მედიას მასთან ბრძოლაში?

— დღეს, ძალიან რთულია ის, თუ როგორ ვებრძოლოთ დეზინფორმაციას და პროპაგანდას. ჩვენ ყოველთვის გვქონდა ფორმულა დეზინფორმაციასთან, ტყუილებთან, მატყუარა პოლიტიკოსებთან საბრძოლველად. ეს ფორმულა სიტყვის თავისუფლება, საზოგადოებრივი მაუწყებლები და თავისუფალი ბაზრის პლურალისტური მედია იყო. დღეს მსოფლიოს გარშემო, და განსაკუთრებით სუსტ დემოკრატიებში, როგორიცაა საქართველო, ეს იდეა აღარ მუშაობს.

შეიძლება გქონდეს საზოგადოებრივი მედია, თუმცა ახალი ტიპის ავტორიტარულმა რეჟიმებმა და სუსტმა დემოკრატიებმა ისწავლეს, თუ როგორ დააკომპლექტონ საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოები საკუთარი ხალხით. შედეგად, საზოგადოებრივი მედია სახელმწიფო მედიად გადაიქცა. პლურალური მედია — იდეა, რომ სხვადასხვა ბევრი მედია არსებობს, რომლებიც ერთმანეთს დააბალანსებენ ბაზრის უხილავი ხელით, ასევე აღარ მუშაობს. ნახეთ ქვეყნები ბალკანეთში ან უნგრეთი, და ასევე, ალბათ კავკასია: იქ ისე ჩანს თითქოს, მედიაგარემო მრავალფეროვანია. თუმცა, ყველა საბაზრო ინიციატივა მათ, ვინც საკუთარ ბიზნესს არეკლამებს, იმისკენ უბიძგებს, რომ მთავრობასთან კარგად მოიქცნენ.

მთავრობები ქმნიან სისტემას, სადაც ისე ჩანს, თითქოს პლურალისტული მედიაგარემო და სარეკლამო ბაზარი არსებობს, თუმცა ეს ყველაფერი მთავრობის სასარგებლოდ კეთდება. თუ სამთავრობო ბიზნესისგან რეკლამა გინდა, და ხშირად მთავრობა რეკლამის მთავარი გამცემია, მაშინ მთავრობასთან კარგად მოქცევა მოგიწევს ან რეკლამებს დაკარგავ.

რაც შეეხება სიტყვის თავისუფლებას, რუსებმა ეს მთლიანად შეცვალეს „ტროლების ქარხნით“. იდეა ყოველთვის იყო ის, რომ ავტორიტარული რეჟიმები მათ ოპონენტებს ცენზურას უწესებდნენ. ამას დღესაც აკეთებენ, თუმცა დღეს ისინი ტროლების ქარხანას იყენებენ ოპოზიციის ჩასახშობად, ტყუილების გასავრცელებლად, ოპონენტების გასაშავებლად, და ხშირად უბრალოდ ბევრი ინფორმაციის გავრცელებით, ხმაურის შესაქმნელად. და შენ შეიძლება თქვა, რომ ეს თავისუფლებას ზღუდავს, თუმცა ისინი ამბობენ, რომ ეს სიტყვის თავისუფლებაა, რომლის მხარეზეც შენ დგახარ. ეს მართლა ძალიან დიდი პრობლემაა.

ჩვენ დღეს ინფორმაციის სიჭარბის ეპოქაში ვცხოვრობთ, და ყველა ინტელექტუალური ფორმულა რაც ჩვენ შევქმენით მეოცე საუკუნეში დეზინფორმაციასთან საბრძოლველად, დღეს გამოუსადეგარია. და ამ ბრძოლის ფრონტის ხაზზე ის ქვეყნები არიან, რომელსაც ჩვენ ჰიბრიდულ დემოკრატიებს ვეძახით: სერბეთი, საქართველო, მექსიკა — ისეთი ქვეყნები, სადაც ბიზნესი მთავრობასთან ძალზედ ახლოსაა. და ისე ჩანს თითქოს მათ თავისუფალი ბაზარი აქვთ, მაგრამ არა რეალურად. იქ მდარე ხარისხის ინფორმაციის სიჭარბეა. საქართველო ამის კლასიკური მაგალითია. ამაზე ჩვენ ჯერ პასუხი არ გვაქვს.

— ვინმემ რომ გკითხოთ, რა არის რუსული დეზინფორმაცია, როგორი იქნება თქვენი, ასე ვთქვათ, ლექსიკონური განმარტება?

— რუსული დეზინფორმაცია სპეციალური საიდუმლო სამსახურებისგან მოდის, ძალიან მილიტარისტული ხედვიდან. ინფორმაციის მიზანი იდეის გავრცელება არაა. ისიც კი არაა მნიშვნელოვანი თუ ეს (ინფორმაცია) ტყუილია. ისინი ინფორმაციას იარაღად იყენებენ. ინფორმაციის მიზანი (ხალხის) დაბნევა, დაყოფა, დაპირისპირება და მთავარი საკითხიდან ყურადღების გადატანაა. მათ ინფორმაციის სამხედრო ხედვა აქვთ. შინაარსი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ. შეცდომა, რომელსაც ხშირად უშვებენ ამ შინაარსზე დავაა. ხალხი, რომელიც ამ ინფორმაციას ქმნის, არ ფიქრობს მის შინაარსზე. ისინი მას იარაღად იყენებენ.

სწორედ ამიტომ შეუძლია (მოსკოვს) ნებისმიერ იდეოლოგიას შეეკედლოს. მისთვის ეს მნიშვნელოვანი არაა. და სანამ გააანალიზებ, თუ რა ეფექტის გამოწვევა სურთ მათ, იქამდე შეიძლება ხანგში გაება. ამის მიხვედრა ძალზედ მნიშვნელოვანია.

— და შეუძლია დეზინფორმაციას ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, დემოკრატიას საფრთხე შეუქმნას?

— დიახ, მის წინაშე ყველა ქვეყანა დაუცველია. თუ ამერიკა შეიძლება იყოს დაუცველი, რატომ იქნება საქართველო გამონაკლისი. საქართველოზე გავლენის მოპოვების ბევრად უფრო მეტი საშუალება მოიძებნება, ვიდრე ამერიკაზე. ვიტყოდი, საქართველო ბევრად უფრო დაუცველია.

— თქვენ თქვით, რომ გზავნილებს, რომელსაც ისინი ავრცელებენ, მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა, თუ განვაზოგადებთ, რა წარმოდგენების გავრცელებას ცდილობს რუსული დეზინფორმაცია საქართველოში?

— დიდი ნარატივები არსებობს, ეს ალბათ თქვენ უკეთ იცით, თუმცა ალბათ ისინი იმ იდეის გავრცელებას ცდილობენ, რომ საქართველოს დასავლეთი არ სჭირდება, რომ იქამდე ვერასდროს მიაღწევთ, რომ იქ არავინ გელოდებათ — რაც ნაწილობრივ მართალია, და რომ რუსეთთან ერთად უნდა იყოთ. საქართველოში, როგორ მუშაობს ეს, არ ვიცი, თუმცა ალბათ იქ აპათიის და უიმედობის განცდის გაღვივებას ცდილობენ.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ ჩვენ არ გვაქვს ახალი მეთოდები დეზინფორმაციასთან საბრძოლველად, ანუ ფიქრობთ, რომ ხვალინდელი დღე ბუნდოვანია? თქვენი აზრით, როგორ გამოიყურება ინფორმაციის მიღების და გავრცელების მომავალი?

— ჩვენ ორ სხვადასხვა კრიზისს ვუმკლავდებით. პირველი რუსეთია, როგორც თქვენ აღნიშნეთ და მეორე ისაა, თუ როგორ დავარეგულირებთ ინფორმაციას. რას ვგულისხმობთ ჯანსაღ საინფორმაციო სივრცეში 21-ე საუკუნეში? ევროკავშირი ამ მიმართულებით, ინტერნეტის დასარეგულირებლად ნაბიჯებს დგამს. ეს არ შეეხება მხოლოდ შინაარსს, არამედ ალგორითმებსაც, რათა ეს ალგორითმები უფრო სწორი ინფორმაციის მიწოდებისკენ გადაიხარონ. ეს ასევე მოიცავს მისაღებ გავლენასა და მიუღებელ მანიპულაციას შორის ზღვარის გავლებას. ერთ ქვეყანას შეუძლია მეორე ქვეყნის მოსახლეობის დარწმუნება სცადოს. თუმცა მიუღებელია, როცა ამას ათასობით „ცრუ ანგარიშის“ გამოყენებით ცდილობ. მნიშვნელოვანია, შეიქმნას აღსრულების მექანიზმებიც, ვფიქრობ, ჩვენ ნელ-ნელა ვეწევით დროს, რეგულაციებიც დაეწევა მას.

— თქვენი აზრით, ინტერნეტის რეგულირება სწორი გზაა?

— არსებობს კარგი რეგულაციები და ცუდი რეგულაციები... ეს მხოლოდ ერთი გზაა. მეორე გზა, რაზეც ყველა საუბრობს, მედიაწიგნიერების გაზრდაა, რისაც მე ნაკლებად მწამს... ვფიქრობ, რეალური გზა არა რეგულაციებია, რომელიც ყოველთვის „პროგრამა მინიმუმი“ იქნება, არც მედიაწიგნიერება, რომელიც გრძელვადიანი პროცესია, არამედ ამ სივრცეში შეჯიბრი იქნება. ამ ეტაპზე, მხოლოდ „ცუდი ტიპები“ მონაწილეობენ ამ შეჯიბრში, მხოლოდ ბინძური პოლიტიკური კამპანიები გვხვდება, მხოლოდ ცუდი, მტრულად განწობილი სახელმწიფოები და ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“: ისინი ახალ საინფორმაციო ეპოქაზე გაბატონდნენ. ჩვენ უნდა გადავხედოთ საზოგადოებრივი მაუწყებლების და საჯარო მედიის სისტემას — თუ რას ნიშნავს ის, ციფრულ ეპოქაში. ჟურნალისტიკამ ხელახლა უნდა შეაფასოს მისი საქმიანობა.

— დაბოლოს, რა როლი აქვს „ამერიკის ხმას“ და „რადიო თავიფულებას“ დეზინფორმაციასთან ბრძოლაში?

— „ამერიკის ხმა“ და „რადიო თავისუფლება“ სხვადასხვანაირ გარემოში მუშაობენ, თუმცა მათი მთავარი არენა იქ მაუწყებლობაა, სადაც არ არსებობს საბაზისო, სანდო მედია. ეს უკვე კარგია. ეს საზოგადოებრივი მაუწყებლები არიან, რომელთაც აქვთ იმუნიტეტი იმ პათოლოგიების წინააღმდეგ, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. მათ ვერ მოისყიდიან და არც საბაზრო ეკონომიკაზე არიან დამოკიდებულნი.

თუმცა, ამერიკის საერთაშორისო საზოგადოებრივი მაუწყებლები უნდა გაძლიერდნენ და 21-ე საუკუნეში გადავიდნენ. ამას პოლიტიკური ნება და ფული დასჭირდება. ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. თუმცა ჩვენ ვიცით, რომ „ამერიკის ხმა“ და „რადიო თავისუფლება“ იმ ბევრი პრობლემისგან თავისუფალია, რაც განვიხილეთ. ჩვენ ვიცით, რომ იქ კარგი ხალხი მუშაობს. ეს უკვე ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა ეს მცირედია, ბევრი სხვა რამის მიღწევა შეიძლება.

ესაუბრა
ანი ჩხიკვაძე

ამერიკელი დიპლომატის თვალით დანახული რუსული საფრთხეები

„ძართველი **აქტორები, რომლებიც ცდილობენ, შეაფერხონ ერის დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება და ხელს უწყობენ არასტაბილურობას, რუსეთს უფრო მეტი ჩარევის შესაძლებლობას აძლევენ“,** — ამის შესახებ გამოცემა „ვაშინგტონ თაიმსის“ ანალიტიკურ სტატიაშია აღნიშნული.

„საქართველო გზაჯვარედინზე“ — ასეთია სათაური „ვაშინგტონ თაიმსის“ სტატიისა, რომელიც ამერიკელ დიპლომატს **ადამ ერელს** ეკუთვნის. როგორც ადამ ერელი წერს, ქართველი ხალხი მუდმივად რუსული აგრესიის საფრთხის წინაშეა.

„რუსული ძალები და მისი მარიონეტები აგრძელებენ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციას. რუსული ტურიზმი საქართველოს მშპ-ის თითქმის რვა პროცენტს შეადგენს და რუსეთი საქართველოსთვის გზავნილების მეორე უმსხვილესი წყაროა. ქართველი აქტორები, რომლებიც ცდილობენ, შეაფერხონ ერის დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება და ხელს უწყობენ არასტაბილურობას, რუსეთს უფრო მეტი ჩარევის შესაძლებლობას აძლევენ. მნიშვნელოვანია, რომ ამ პოლიტიკურმა აქტორებმა გაითვალისწინონ სახელმწიფო დეპარტამენტის მოწოდება, რომ ყველა მხარე დაბრუნდეს პოლიტიკურ პროცესში და თავიდან აიცილოს ძალადობრივი დემონსტრაციები. თავისი მომავალი გეგმების შედგენისას, ქართველებს შეუძლიათ, დარწმუნებული იყვნენ, როგორც მინიმუმ აშშ-ის ძლიერ და უცვლელ მხარდაჭერაში. 23 ოქტომბერს, წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონი „საქართველოს დახმარების შესახებ“, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს აშშ-ის მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისადმი, ცნობს მის ერთგულებას დემოკრატიული ფასეულობების მიმართ და ეწინააღმდეგება რუსეთის აგრესიას. ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსისა და ეროვნული უსაფრთხოების ყოფილი მრჩეველის ჯონ ბოლტონის თბილისში ვიზიტების გარდა, პრეზიდენტმა ტრამპმა ხელი მოაწერა კანონმდებლობას, რომ საქართველოს სეპარატისტული რეგიონები აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოცხადდეს და კრძალავს ფინანსურ მხარდაჭერას ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელიც ცნობს მათ დამოუკიდებლობას“, — აღნიშნულია სტატიაში.



ლუკა სირაძის გარდაცვალებას წინ უძღოდა მოზარდის პოლიციის განყოფილებაში მოწმის სახით დაკითხვა. წინასწარი ინფორმაციით, მოზარდზე ფსიქოლოგიური ზეწოლა განხორციელდა – გამომძიებელი მარიანა ჩოლოიანი ლუკას ხულიგნობის აღიარებას სთხოვდა.

მოზარდზე განხორციელებულ ძალადობას პოლიციის არაპროფესიონალიზმს უკავშირებს ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე. ფსიქოლოგის განმარტებით, თვითმკვლელობების რაოდენობა მიგვითითებს პრობლემის არსებობაზე, ხოლო მივა თუ არა გამოძიება შედეგამდე, ეს უკვე ის საკითხია, რომელიც გამოძიების ავკარგიანობაზე მეტყველებს, თვითონ პრობლემაზე კი არაფერს ამბობს.

დღეს რამაზ საყვარელიძე გვესაუბრება.

ამ ცხოვრების დედაც!...

– „ამ ცხოვრების დედა“ – ეს წარწერა საბედისწერო გამოდგა 15 წლის მოზარდისთვის. რამდენად რთულად გვაქვს საქმე. როგორ ფიქრობთ, გამოსავალი იყო პოლიციის ჩართვა, თუ გამოსავალი იყო ფსიქოლოგების ჩართვა და გარკვევა იმისა, რამ მიიყვანა მოზარდი ამ მდგომარეობამდე, როდესაც ცხოვრებისგან გაბრაზებას ასე გამოხატავდა?

– სავსებით მართებული კითხვაა. როდის მივალთ იმ ვითარებამდე, როდესაც ყველა მსგავს შემთხვევაში ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები იქნებიან ჩართულები?! აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართულები, რადგან პოლიციამ შეიძლება გაართულოს პროცესი. პოლიციის მუშაობა რთულ ბავშვთან და, როგორც ჩანს, ლუკა სირაძე რთული ბავშვი იყო, უფსიქოლოგოდ მხოლოდ პოლიციური მენტალიტეტით, რა თქმა უნდა, არც არაფერს მოიტანს.

რამდენადაც ვიცით, ამ შემთხვევაში იყო ის პრობლემა, როდესაც პოლიციელები ვერ მიხვდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ასეთ ბავშვთან, ამისთვის არის ფსიქოლოგი. კლინიკური ფსიქოლოგიის შემდეგ მეორე ადგილზეა სკოლის ფსიქოლოგია და ამ მიმართულებით მომუშავე ფსიქოლოგების რიცხვი მსოფლიოში. ჩვენთან ხომ ჯერ მსოფლიოს სტანდარტები ბევრ არაფერზე არ ვრცელდება.

– 15 წლის მოზარდის საქმემ რა პრობლემა გვაჩვენა? სამწუხაროდ, ძალიან ხშირია მოზარდების თვითმკვლელობის ფაქტები,მაგრამ ჩვენ ვერ ვნახეთ განათლების სამინისტროს კონკრეტული ნაბიჯები, რომ ავიცილოთ სუიციდის ფაქტები. არც ერთ შემთხვევაში განათლების სისტემას არ მოუთხოვია საქმის გამოძიების დეტალები...

– განათლების სისტემა ნაკლებად არის კავშირში ამ პრობლემასთან, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ განათლების სისტემაში, ანუ სკოლაში ბავშვი არის დაახლოებით 5-6 საათი, დანარჩენი დრო არის მშობლებთან, ისიც ყოველთვის არა – ან თანატოლებთან არის, ან ინტერნეტში, ან კიდევ ტელევიზორს უყურებს და ჩართულია თავისებურ მიკროკულტურაში. სწორედ, ეს დანარჩენები ქმნიან იმ პრობლემას, რომელსაც ამ ასაკის ბავშვის ხასიათი და პრობლემა ჰქვია. სკოლამ შეიძლება გაამწვავოს ან ოდნავ შეამსუბუქოს ეს პროცესები, იმისდა მიხედვით როგორი მასწავლებლები, ან ფსიქოლოგები ჰყვანან სკოლებს. ძირითადი მიზეზი არის იქ, სადაც ბავშვი უმეტეს დროს ატარებს.

– რაც შეეხება პოლიტიკურ ასპექტს, პროცესების სარბიელი არის ტელევიზია, რასაც ძალიან ხშირად მიჯაჭვული არიან ბავშვები?

– აი, ეს პოლიტიკური სარბიელი, სადაც სულ დაძაბულობაა, ერთმანეთის მიმართ დაუნდობლობაა, აგრესიულობა, მთელი ეს ემოციები გადმოდის ჯერ მშობლებზე და მერე ბავშვებზე, ისე, რომ თვითონაც ვერ აცნობიერებენ. მთელი საზოგადოების სტრესი მერე უკვე ბავშვებში ასეთი სახით ნახულობს გამოვლინებას. კარგია, პოლიტიკოსები თავიანთ თავზე თუ დაფიქრდებიან, ასევე იმაზეც, რომ საზოგადოებაში არ შექმნან ზედმეტი დაძაბულობა და სოციალური სტრესი, თუ არ უნდათ, რომ ეს ბავშვებზე ტრაგიკულად აისახოს.

– მოზარდის გარდაცვალების საქმე უკვე გახდა პოლიტიკური სპეკულაციის მიზეზი. ამ შემთხვევაში რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ, რომ არ დაუშვას ამ თემის გაპოლიტიკურება, საქმე ეხება 15 წლის მოზარდს, მით უმეტეს, რომ ვხედავთ არასრულწლოვანი ბავშვები, სამწუხაროდ, მიდრეკილნი არიან სუიციდისკენ...

– აგრესიულობა, დაძაბულობა და ის



კლიმატი, რომელიც შემზადდა დღევანდელ გარდამავალ თაობაში, ის უფრო ადრე არის დაწყებული და გვახსოვს ჩვენ წინა ხელისუფლება. ასე რომ, ხელის გაშვერვა ამა თუ იმ მიმართულებით დაშვებულ შეცდომებზე, არ ღირს. შეცდომები მმართველობაში დღევანდელი ხელისუფლების ძირითად ოპონენტებსაც აქვს დაშვებული.

ვახსენე ფსიქოლოგების საკითხი სკოლებში, არანაკლები გამუდმებით არის საჭირო ფსიქლოგები პოლიციაში. ახლა საკმაოდ გავრცელებულია ტრენინგჯგუფები კომერციულ სტრუქტურებში, ჩემი ბევრი ახლობელი ფსიქოლოგი მუშაობს ბანკებში ან სავაჭრო დაწესებულებებში, რომ სწორი ურთიერთობა შეეძლოთ მომხმარებელთან. პოლიციას არ სჭირდება ტრენინგი იმისთვის, რომ სწორი ურთიერთობა შეეძლოს ადამიანებთან?

აი, ამ მცირე მონაკვეთზე ვამბობ. აღარ ვამბობ სამეცნიერო რესურსზე, მაგრამ გამოძიების ეტაპზე ფსიქოლოგების ჯგუფი გასაფართოებელია პოლიციაში. გასაგებია, რომ ეს პოლიციის ზოგადი პრობლემებია, მაგრამ ის პრობლემა, რაც ბავშვებთან დაკავშირებით იჩენს თავს, ეს იმის შედეგია, რომ პოლიციელებმა ურთიერთობა არ იციან.

ადამიანთან ურთიერთობა თანდაყოლილი თვისება არ არის, მას სწავლა სჭირდება და სწავლობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

– მით უმეტეს, რომ არც ერთ შემთხვევაში გამოძიებას არ აქვს შედეგი. თითქოსდა ეპიდემიის სახით ვრცელდება მოზარდებში თვითმკვლელობა...

– გეთანხმებით. თვითმკვლელობა და ბევრი რამ ატარებს ე.წ. ფსიქოლოგიური ეპიდემიის ხასიათს. თვითმკვლელობების რაოდენობა მიგვთითებს, რომ პრობლემა არის. გამოძიება მივიდა თუ არა შედეგამდე, ეს უკვე ის საკითხია, რომელიც გამოძიების ავკარგიანობაზე მეტყველებს, თვითონ პრობლემაზე არაფერს ამბობს.

გამოძიება არ გვივარგა და ეს არის პრობლემური, მაგრამ თვითმკვლელობების ეს რაოდენობა უკვე მიგვითითებს, რომ ემოციური ფონი არის სტრესული. ადამიანი, რომელიც განიზრახავს თვითმკვლელობას, თუ გადარჩა, მერე ის ფსიქიატრთან მიჰყავთ, იმიტომ რომ თუ ძირითად ინსტიქტს აბიჯებს ადამიანი, რასაც სიცოცხლის სიყვარულის ინსტიქტი ჰქვია, ე.ი. მისი ფსიქიკა არ არის წესრიგში. რახან ამდენი ბავშვი ადვილად ხელყოფს თავის სიცოცხლეს, ე.ი. მათი ფსიქიკური მდგომარეობა არ არის წესრიგში.

– არ არის წესრიგში, ანუ ამას ჰქვია დეპრესია?

– რა თქმა უნდა, რაც არის თვითმკვლელობის ძირითადი მიზეზი, ამას უნდა მიხედვა. ჟურნალისტურ დონეზე გამოკითხვა ყურადღების მისაქცევად საჭიროა.

– სახელმწიფოსთვის ნომერ ერთი ამოცანა უნდა იყოს მოზარდების თვითმკვლელობის საკითხი. შემთხვევით არ მიხსენებია, რომ მოზარდების თვითმკვლელობის არც ერთი ფაქტი გამოძიებული არ არის. როგორ ფიქრობთ, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული არ უნდა იყოს, ფსიქოლოგებთან ერთად გაარკვიოს, რა ხდება და რა არის მდგომარეობიდან გამოსავალი?

– სრულიად მართებულად სვამთ საკითხს, მაგრამ მე ცეცხლზე ნავთს დავასხამ კიდევ, იმიტომ რომ ზუსტად მსგავსი პრობლემაა და მსგავსი ძირი აქვს ნარკომანიას. სულ ერთხელ მიგვიწვიეს მე და იაგო კაჭკაჭიშვილი შსს-ში, სულ 5 თანამშრომელი შეგვხდა. თვლიდნენ, რომ მათ აქვთ სალაპარაკო ნარკომანიაზე და კითხვებს არ გვისვამდნენ. რამეს თუ ვიტყოდით, კი მოგვისმენდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი საკუთარ საკითხად მიაჩნიათ. ამ დროს ეს მთელი საზოგადოების პრობლემაა. ისინი, წესით, ერთ-ერთი შემსრულებელი რგოლი უნდა იყვნენ. თქვენ მკითხეთ, რისი ბრალია ნარკომანიის საკითხი და რატომ დავამატე თვითმკვლელობებს? – იმიტომ რომ თვითმკვლელობებმა თავი სხვა ასაკში გამოავლინა, უფრო მოზრდილ ასაკში. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ აუცილებელია ფსიქოლოგების ჯგუფის მუშაობა პოლიციაში. მხოლოდ დასჯა არ არის გამოსავალი. ეს ნიშნავს, რომ პოლიციის უკულტურობაა ჩვენი პრობლემა, არ იციან პროცესების მართვა, უკულტურო ხელისუფლებები გვყვანან. სამწუხაროდ, მშობლებიც უკულტურო გვყვანან, ეს არის დიდი უბედურება.

როდესაც მშობელი შეამჩნევს, რომ ბავშვს პრობლემა აქვს, უნდა წიაყვანოს ფსიქოლოგთან, ფსიქიატრთან, რომ ხელი შეუწყონ იმის გადარჩენას.

– როგორც აღმოჩნდა პოლიციის ზემოქმედების ქვეშ იყო 15 წლის მოზარდი, რომელსაც ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა. ამ ნიშანდობლივ შემთხვევაში იკვეთება სკოლის ბრალეულობა? მასწავლებელმა ვერ შეამჩნია ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სამწუხაროდ, ვერც ოჯახმა, ვერც გამომძიებელმა მარიანა ჩოლოიანმა, რომელსაც მოზარდმა უთხრა, რომ ცუდად იყო, თუმცა ექიმის დახმარებაზე უარი უთხრა..

– დაკითხვასაც თავისი სტილი აქვს. ამ შემთხვევაში დაკითხვის სტილში იყო პრობლემა. დედის შეგინება, ძალადობა, მუქარა და შანტაჟი ძმით. რთული ხასიათის ბავშვს მეტი რა უნდა, კიდევ უფრო გაურთულდება მდგომარეობა.

– ის, რომ პრობლემის მოგვარება არ ჩანს, ამან შეიძლება წაახალისოს ძალადობა ქუჩაში?

– რა თქმა უნდა, წაახალისებს. სარეველა ბალახს თუ არ გაგლეჯ, რა თქმა უნდა, ყველაფერს გადაფარავს. მოუვლელი პრობლემა თავისით არ შემცირდება. კიდევ ერთი პრობლემა გვაქვს – შობადობა გვაქვს დაბალი, სიკვდილიანობა მაღალი, ანუ განადგურების წინაშე მდგომი ერი ვართ.

– როგორ ფიქრობთ, მოზარდის გარდაცვალების საქმეში სახელმწიფო შეძლებს გამოცდის ჩაბარებას, თუ შეეცდება ისევ პოლიციის მუნდირის ღირსების დაცვას?

– არავითარი მუნდირი, რა დროს მუნდირია?! ხომ ითმენდნენ თავში დარტყმას, როცა უბრძანეს, ხელი არ გაანძრიოთო, იდგნენ გაუნძრევლად. როცა უთხრეს, რომ რეაქცია მიეცითო, მერე გაეკიდნენ და სადარბაზოებშიც უცვივდებოდნენ აქციის მონაწილეებს. ანუ ბრძანებას აქვს მნიშვნელობა. თუკი უბრძანებენ, რომ ბავშვთან სხვანაირად მოიქეცით, გაუფრთხილდითო, გაუფრთხილდებიან, მეტი გზა არ ექნებათ.

მაგრამ, ეტყობა, ეს ბრძანებაც არა აქვთ, ეტყობა თავიდან იწყება პრობლემა, თავშია პრობლემა, ბრძანების გაცემაშია პრობლემა. ე.ი. ამ შემთხვევაში ინსტრუქცია არ ჰქონდათ მიცემული იმაზე, რომ ბავშვთან სხვანაირად უნდა მოქცეულიყვნენ. ამ შემთხვევაში, ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს და არავითარი მუნდრის დაცვაზე ფიქრი!

თამთა ქარჩავა

არასრულწლოვანთა სამმართველო და 25 გამომძიებელი

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი ყოველდღიური რეჟიმით მუშაობს. როგორც ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩველმა ლელა აქიაშვილმა განაცხადა, გუშინდელ შეხვედრაზე საუბარი იყო, როგორც გრძელვადიან გამოწვევებსა და გეგმებზე, ასევე, იმ პირველი რიგის პრობლემებზე, რომელთა გადაჭრაც ამ ეტაპზე პრიორიტეტულია.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, შედეგად, 2020 წლის პირველი აპრილიდან თბილისში ამოქმედდება არასრულწლოვანთა სამმართველო, რომელსაც საწყის ეტაპზე 25 სპეციალიზებული გამომძიებელი ეყოლება. ასევე, შეიქმნება კრიზისულ სიტუაციებში რეაგირების უწყებათაშორისი დეტალური გეგმა, სადაც გაიწერება ყველა აქტორთან დაკავშირებული კონკრეტული ნაბიჯები და ვალდებულებები.

„განვაგრძობთ მუშაობას სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და არასრულწლოვანი მოწმეებისთვის ადვოკატის ყოლის აუცილებლობის საკითხებზე. დღეს უწყებები უკვე გვაწვდიან ინფორმაციას და აგრძელებენ მუშაობას თითოეული მიმართულებით. გვსურს, მადლობა გადავუხადოთ როგორც ოთხივე სამინისტროს და განსაკუთრებით მინისტრის მოადგილეებს აქტიური თანამშრომლობისათვის, ასევე, პროცესში ჩართულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს და ექსპერტებს“, – განაცხადა ლელა აქიაშვილმა. პრემიერ-მინისტრის დავალებით, პროცესი ადამიანის უფლებათა საბჭოს ფარგლებში მიმდინარეობს და მას კოორდინაციას ადამიანის უფლებათა სამდივნო უწევს.

უსასრულო მოთმინების ნიჭი...

უოლტერ ბედელ სმიტი (1895-1961) — ბრიგადის გენერალი, აშშ ელჩი საბჭოთა კავშირში, 1946-1949 წლებში.

ფრაგმენტი წიგნიდან „ჩემი სამი წელიწადი მოსკოვში“ (ნიუ-იორკი, 1949).

პირისპირ შეხვედრისას სტალინი სრულიადაც არ ტოვებს არამიმზიდველი პიროვნების შთაბეჭდილებას, როგორც ზოგიერთი ავტორი აღწერს. სინამდვილეში, სტალინს ახასიათებს ჭეშმარიტი მომხიბვლელობა, როდესაც სწადია, რომ ამით ისარგებლოს. თუმცა ტანმაღალი არაა, მაგრამ კარგად არის ჩამოსხმული, წელგამართულია და ღონიერი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. ომის დაწყებისას მან მიატოვა თავისი ძველი, პარტიული ფორმა — ხაკის შარვალი და უბრალო ხალათი, რომელიც ღილებით იკვრებოდა ყელამდე. ჯილდოებს არ ატარებდა, ამჟამად კი საჯაროდ ჩნდება და უცხოელ სტუმრებს იღებს — გამოწყობილი საბჭოთა კავშირის მარშლის მუნდირში, რომელსაც ჩვეულებრივ ამშვენებს ერთადერთი ჯილდო — საბჭოთა კავშირის გმირის ძვირფასი ოქროს ვარსკვლავი.

ძლივს შევამჩნიე მის პირისახეზე ნაყვავილარი, რასაც ზოგიერთი ამერიკელი ავტორი ხაზგასმით აღნიშნავდა. ყველაზე მეტად მიგიზიდავთ სტალინის მშვენიერი, თაფლისფერი თვალები, მყისვე რომ გაუბრწყინდება ხოლმე საინტერესო საუბრისას. ეს თვალები არ ყოფილა „ალერსიანი“, როგორც ფიქრობდა ერთი ავტორი და არც „ფოლადივით ცივი“, როგორც უთქვამთ სხვებს. მისი თვალები ფხიზელია, მეტყველი და გონიერი. მშვიდი, აუჩქარებელი და თავდაჯერებული ჩვეულებები აქვს, ხოლო როდესაც სურს, გაათბოს საუბარი, დროდადრო მართლაც უწყინარი ხდება. თავისთავად იგულისხმება, რომ სტალინს შეუძლია შეგაწყვეტინოს სიტყვა. მითხრეს, რომ ზოგჯერაც იგი საკუთარ თავს, მობოდიშებით, უწოდებს „უხიაკ ბერიკაცს“.

იუჯინ ლაიონსი (1898-1985) — ამერიკელი ჟურნალისტი. „იუნაიტედ პრესის“ სააგენტოს კორესპონდენტი მოსკოვში, 1928-1934 წლებში.

ფრაგმენტი წიგნიდან „სტალინი — ხელმწიფე სრულიად რუსეთისა“ (ნიუ-იორკი, 1940).

სტალინის არსებით განსხვავებას მისი კოლეგა-დიქტატორების — ჰიტლერისა და მუსოლინისგან, — ხშირად სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. გერმანელი „ფიურერი“ და იტალიელი „დუჩე“ აღჭურვილი არიან დინამიკური წინამძღოლობის უნარით. ორივე დახელოვნებული ორატორია, ამასთან, დემაგოგი და უკიდურესად თავდაუჭერელი. ისინი ხედავენ ყველაფერს, მათაც ყველა ხედავს და, ერთსა და იმავე დროს, ახერხებენ ყოფნას ყველგან. ამ თვალსაზრისით, უნარი „ვოჟდისა“ არა მარტო გაცილებით უკმარისია, არამედ სრულიად სხვა წეს-კანონებს ემორჩილება.

სტალინი არ გახლავთ ორატორი. მე მომისმენია მისი ნელი, მძიმე, შთაგონებას მოკლებული სიტყვა რუსულ ენაზე, ძალზე შეფერილი რომ იყო მშობლიური კავკასიური აქცენტით. მას არ გააჩნია პირადი მაგნეტიზმი და არც ეპილეფსიური გზნება, რითაც გამოირჩევიან მისი ტევტონი თუ ლათინი კოლეგები. სტალინი, არსებითად, არის „დიქტატორი კაბინეტიდან“, რომელიც უკეთესად მოქმედებს თავის ქვეშევრდომთაგან განმარტოებით, შორს მყოფი და მიუწვდომელი — კრემლის საფარის პირქუშ სამკვიდრებელში. თავისი დიქტატორობის ჟამს მხოლოდ ერთხელ მიმართა ხალხს რადიოთი. საერთოდ, როდესაც იგი ლაპარაკობს, რაც იშვიათად ხდება, ამჯობინებს სპეციალისტთა ან პარტიული და სახელმწიფო ფუნქციონერების შერჩეულ აუდიტორიასთან საუბარს.

დავკვირვებივარ დანარჩენი ორი დიქტატორის გამოსვლებსაც — ხმაურიანს, ფეთქებადს, აღსავსეს ისტერიული ჟესტებით. სტალინი, როგორც ჩვენი შეხვედრისას შევნიშნე, მეტყველებს დინჯად, მოძრაობს აუჩქარებლად და თითქმის სულ არ იყენებს ჟესტებს. არის ამ კაცში რაღაც ფრიად აღმოსავლური — უაღრესად ფრთხილია, აწონილ-დაწონილი ფიქრითა და საკუთარ თავში ჩაღრმავებით. ერთი შეხედვით გეგონება, მოშვებულიაო, მაგრამ შინაგანად დაჭიმული ზამბარასავით არის. იგი გაგრძნობინებს თავის უსაზღვრო ენერგიას და ემოციებს, ლაგამი რომ ამოუდვია რკინის ხელით.

სტალინის სისასტიკე მძვინვარე და იმპულსური როდია, როგორც ჰიტლერისა ან მუსოლინისა, მაგრამ გაცილებით საზარელია: წყნარი, მოთმენილი, გულდასმით დაგეგმილი. მის პოლიტიკასაც, მეტწილად, იგივე ახასიათებს. მართლაცდა, გარკვეულ დრომდე რომ შეურწყა თავისი ბედისწერა ჰიტლერისას, ეს ადასტურებს ზემოთქმულს. მსოფლიოს მოულოდნელობად მოეჩვენა მათი კავშირი. სინამდვილეში, სტალინის მხრიდან ეს იყო ხანგრძლივი ჩანაფიქრისა და ზეადამიანური შეუპოვრობის ნაყოფი. როდესაც განვსჯით მის ყოველ ნაბიჯს მსოფლიოს უდიდეს სცენაზე, სადაც ესოდენ მძიმედ ამოყო თავი, შეფასებისას არ უნდა გამოგვრჩეს მისი აწონ-დაწონვის ნიჭი. ფსიქოლოგიურად, ეს აძლევს სტალინს გარკვეულ უპირატესობას ძალზე თეატრალურ და გულფიცხ დიქტატორებთან საქმის დაჭერისას.

საბჭოთა დედაქალაქის მოსახლეობას პატივი ენიჭება, რომ დროდადრო, წუთით მაინც, შეავლოს თვალი თავის დიქტატორს, როდესაც წითელ მოედანზე ჩაივლის ხოლმე მწყობრ მასად, დროშების ღრუბელქვეშ და ჩახრინწული ხმით მიესალმება. ამ დიდი აღლუმების დროს სტალინი, როგორც წესი, ლენინის გრანიტის აკლდამის პარაპეტიდან გადმოჰყურებს ხალხს თავმობეზრებული და აშკარად მედიდური გამომეტყველებით, მაგრამ მისალმებათა პასუხად მისი ხელის აქნევას აფორიაქების ნიშანიც ემჩნევა. იგი ლაღად ვერ გრძნობს თავს ხალხის მასასთან.

სტალინი სრულიად მოკლებულია პირფერობის უნარს, რომელიც უხვად მოსდგამთ სხვა დიქტატორებს. სტალინმა იცის, რომ მისი ძალაუფლება დამოკიდებულია არა მასაზე, არამედ თავის მტკიცე ნებისყოფაზე და დახვეწილ მანიპულაციას ეყრდნობა პოლიტიკური კვანძებით, მუჭში რომ აქვს ჩაჭერილი. იგი ხელისუფლების სათავეში მასების მხრებზე კი არ აღზევებულა, არამედ - შიდაპარტიული პოლიტიკის ლაბირინთული ტალანების გავლით. სტალინი არის განდეგილი და საკუთარ თავში ჩაკეტილი კაცი, რომელიც ცხოვრობს თავის ნაჭუჭქვეშ. მას არ ჰყავს მეგობრები, ჰყავს მხოლოდ ხელქვეითები; არ ჰყავს პოლიტიკური თანაშემწენი, ჰყავს მხოლოდ პირმოთნე შემსრულებელნი.

ყველა, ვინც ახლოს ყოფილა მასთან და შემდგომში გაუბედავს ხმის ამოღება, აღნიშნავს ღრმა კნინობითობის სიმპტომებს. სწორედ ამ გრძნობას გამოხატავს მისი პატივმოყვარეობა და სისასტიკე, მისი პათოლოგიური წყურვილი შურისძიებისა. იგი ძალზე ჭკვიანია საიმისოდ, რომ არ გამოამჟღავნოს პირფერობის სიყალბე და არც ზიზღი გამოხატოს მლიქვნელთა მიმართ. და მაინც სწყურია, უფრო და უფრო მეტად, მოჩვენებითი მაამებლობა. უკმარისობის შეგრძნება, ბავშვობიდანვე რომ დაეუფლა, მარტოოდენ წარმატებებით ვერ განუდევნია. მას უნდა ჰქონდეს ხელშესახები საბუთები სიდიადისა და ძალაუფლებისა - უფრო მეტი ქედმოხრილი ხოტბა, უფრო მეტი რეპრესია, უფრო მეტი დაპყრობანი ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ.

მენტალურ დონეზე მისი კნინობითობა უფრო საგრძნობია. იგი იძულებულია, რომ დაუახლოვდეს კულტურის მოღვაწეებს და მფარველობა გაუწიოს ხელოვნებას. მაგრამ ეს ჭარბი კეთილგანწყობა ერთეულთა მიმართ, სიმბოლური დაამხანაგება გენიასთან, ხელს არ უშლის მის სიმკაცრეს ინტელექტუალებისადმი. მათი ჩამოთვლა, ვინც მოსპო სტალინმა ამ დარგის ადამიანთაგან, წარმოგვიდგება როგორც რეესტრი დღევანდელი რუსეთის „ნაღებისა“.

მიუხედავად ბუნებრივი ცნობისმოყვარეობისა, რასაც იწვევს დიქტატორის პირადი ცხოვრება, ჩვენ გვიჭირს გარკვევა, ვინაიდან სინამდვილეში სტალინი მთლიანად მიჯაჭვულია თავის საქმეს, რომელსაც შეუძლებელია, გამოეყოს პირადი. კავკასიელები სახელგანთქმულნი არიან, როგორც ღვინის, ქალებისა და სიმღერის ტრფიალნი. ეს უწყინარი ცოდვები გაძევებულია სტალინის ბუნებიდან. **ძალაუფლების წყურვილს თითქოსდა ჩაუნთქავს მიდრეკილება ყველა სხვა ვნებისადმი. იგი მიელტვის ძალაუფლებას არა იმისთვის, რომ მოიპოვოს ფუფუნება და ხორციელი სიამენი, არამედ, როგორც საფუძველს კიდევ უფრო დიდი ძალაუფლების მოსახვეჭად, მსგავსად ძუნწებისა, რომლებიც აგროვებენ ფულს — ფულის გულისთვის. სტალინს, ძალაუფლების გაზრდის შესაბამისად, სრულიადაც არ შეუცვლია თავისი ცხოვრების უბრალოება.**

სტალინმა იცის, რომ მისი უმნიშვნელო ნება-სურვილიც კი კანონია, რომ 180 მილიონი ადამიანი დამოკიდებულია მის გუნება-განწყობაზე და მისი ბრძანების გაგონებისას თრთის. ზემოთქმული, უდავოდ, ის სიამეა, რითაც ხარობს მისი გონება და გული.

ჯონ დინი (1896-1982) — გენერალ-მაიორი, მოსკოვში აშშ სამხედრო მისიის მეთაური მეორე მსოფლიო ომის წლებში.

ფრაგმენტი წიგნიდან „მოლაპარაკებანი რუსებთან“ (ბოსტონი, 1951).

დავიწყოთ იმით, რომ სტალინი არის შეუზღუდველი თვითმპყრობელობის ლიდერი, რომელსაც მოეპოვება ისეთივე აბსოლუტური ძალაუფლება, როგორიც ივანე მრისხანეს ანდა პეტრე დიდს. როდესაც ხედავ მას პოლიტბიუროს ისეთ წევრთა საზოგადოებაში, როგორიც მოლოტოვი ან მიქოიანია, რწმუნდები, რომ გადამწყვეტი სიტყვა მხოლოდ სტალინს ეკუთვნის. იგი ყურს უგდებს თავის მრჩევლებს, მაგრამ სულაც არ ეჩოთირება განზე გადადოს მათი თვალსაზრისი.

ერთი შეხედვით, სტალინს მიმზიდველობა აკლია. ტანმორჩილია და თვალში არ გეცემათ. როგორც ჩანს, მისთვის სულერთია, რას ფიქრობენ მასზე სხვები. ნაკლებ ყურადღებას აქცევს ანდა საერთოდ უგულებელყოფს საზოგადოებრივ პატივს. გრჩება შთაბეჭდილება, რომ ადრეული წლების ჯან-ღონე ფერმკრთალობამ და ღიპის წამოზრდამ შეცვალა, რაც ბოლო წლებში ცხოვრების მჯდომარე წესს გამოუწვევია. სტალინს ემჩნევა, რომ უკვე 71 წლისაა. ღრმად დანაოჭებია კანი და შეჭაღარავებული თმაც შეთხელებია, ადრე ხშირი და შავი ფერისა რომ იქნებოდა. იგი ძუნწად ამჟღავნებს თავის გრძნობებს. მისი ქცევა არც სასიამოვნოა და არც უსიამოვნო. ხაზგასმით გულგრილი გახლავთ. მომღიმარე სტალინი კი მინახავს, მაგრამ მისი სიცილი არასოდეს მსმენია. არც ძალზე აღელვებული მახსოვს. იგი დაჯილდოებულია კარგი პოკერისტის ყველა ნიშან-თვისებით.

რაც შეეხება მის ბუნებას, უნდა ვთქვა, რომ სტალინი არის გულადი, ოღონდ წინდახედულიც. მას ძალუძს, იმოქმედოს სწრაფად და გადაჭრით, ანდა გამოიჩინოს უსასრულო მოთმინება ლოდინისა. მას ძალუძს, იყოს კეთილიც და ულმობელიც — განწყობის შესაბამისად. სტალინს აქვს მახვილი ინტელექტი და ჩვეულებრივზე დიდი გონიერება. მან კარგად იცის პოლიტიკური ფასეულობანი — იშვიათია, რომ ადამიანი გაექცეს სტალინის მზერას მისი ძეგლებიდან და სურათებიდან, რომლებიც მოფენილია მთელს საბჭოთა კავშირში. იგი საჯაროდ ეფერება ხოლმე ბავშვებს. მას შეუძლია ხელი მოგითათუნოს ზურგზე და ასევე იოლად გამოგჭრას ყელი. მისი სუსტი ადგილები მომდინარეობს იმ იდეოლოგიური ფანატიზმის ჩარჩოებიდან, რომლის გავლენის ქვეშ ჩაიარა მისმა ცხოვრებამ.

თეირანის კონფერენციის მონაწილე ამერიკელთა უმრავლესობა იქ პირველად შეხვდა სტალინს, რომელმაც დიდი და სასიკეთო შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. შესაძლოა იმიტომაც, რომ იგი მხარს უჭერდა ამერიკელთა თვალსაზრისს ჩვენს დავაში ინგლისელებთან. მაგრამ ამისგან დამოუკიდებლადაც კი შეუძლებელი იყო, არ შეგემჩნიათ ამ კაცში სიდიადის ნიშნები.

სტალინი მშვენივრად ერკვევა დეტალებში. იგი საოცრად გათვითცნობიერებულია ისეთ საკითხებში, როგორიცაა შეიარაღების სხვადასხვა სახეობათა ტაქტიკურ-ტექნიკური თვისებანი, თვითმფრინავთა კონსტრუქციული თავისებურებანი, საომარ მოქმედებათა საბჭოთა მეთოდიკა და უმნიშვნელო ტაქტიკური ხერხებიც.

ინგლისურიდან თარგმნა
თამაზ ნატროშვილმა

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 257

„ᲕᲘᲡᲐᲪ ᲜᲐᲦᲓᲐᲓ ᲐᲠᲪᲠᲝᲓᲘᲡ ᲐᲠ ᲰᲧᲕᲐᲠᲔᲑᲘᲐ, ᲘᲛᲐᲡ ᲐᲠᲪᲠᲝᲓᲘᲡ ᲜᲐᲦᲓᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲪᲮᲝᲕᲠᲘᲐ“

– ასე ამბობდა ოდესღაც ქრისტე

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲛᲝᲐᲔᲜᲐ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲖᲔ

ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ მიზანი დანაშაულის სურათის აღდგენაა, ფაქტები ისე უნდა აიკინძოს, თითქოს სათამაშო ქაღალდებს ერთმანეთზე აწყობდე და ხუხულას რასმე აგებდე.

* * *

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, მანიაკისთვის დამახასიათებელია უდავო ლოგიკა.

* * *

ᲔᲠᲗᲘ პიესა-ტრილერი, როგორც წესი, სიუჟეტით ყოველ დანარჩენ პიესა-ტრილერს ჰგავს. ერთმანეთისგან განირჩევიან მხოლოდ მტრით. ყოველთვის იყო A la Moruapmu – დამნაშავეთა საერთაშორისო ბანდა – თავდაპირველად ესენი იყვნენ გერმანელები, პირველი მსოფლიო ომის „ჰუნები“, მერე კომუნისტები, მერე, პირველ რიგში, ისინი ფაშისტებმა შეცვალეს. იყვნენ რუსები, ჩინელები, მერე ისევ საერთაშორისო ბანდა, უცვლელად მთავარი დამნაშავე, მსოფლიო ბატონობას რომ ესწრაფვის.

* * *

ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ყოვლის უფრო საგულისყურო პერსონაჟია წიგნში.

* * *

ᲐᲖᲠᲘ არა აქვს მკვლელებზე დიდხანს განსჯას: უბრალოდ, ვფიქრობ, ყოველი მათგანი ბოროტებაა საზოგადოებისთვის, იმათ სიძულვილის გარდა არცრა სხვა არა მოაქვთ რა, და მხოლოდ სიძულვილია იმათი იარაღი. რა ვქნათ, ასე არიან შექმნილნი: ალბათ, უნდა გვეცოდებოდნენ, მაგრამ იმათი დანდობა არ შეიძლება, როგორც არ შეიძლებოდა შუა საუკუნეებში იმ კაცის დანდობა, შავჭირმოდებულ სოფელს თავი რომ დააღწია, არ შეიძლებოდა, ვინაიდან საშიშროებას წარმოადგენდა მეზობელ სოფლებში უმანკო და ჯანსაღი ბავშვებისთვის. უდანაშაულო, მართალი ადამიანი დაცული უნდა იყვეს, გარშემო მყოფ ადამიანებთან მშვიდობიანად და თანხმობით ცხოვრების საშუალება უნდა ჰქონდეს.

* * *

ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲜᲘ, როგორც წესი, არარაობანი არიან – ერთიანად ყველა უსაქმური, უიღბლო, მოკვეთილია, გარემოებათაგან უკანონობის გზაზე შეყენებული...

* * *

ᲗᲣᲙᲘ რამ მნიშვნელოვანია, ეს მსხვერპლთა რაოდენობაა! მოქმედება მოსაწყენი თუ ხდება, ცოტაოდენ სისხლს უთუოდ გამოცოცხლება შეაქვს. თუ პერსონაჟს რისამე მოყოლა სწადს, იმას პირველსა კლავენ. ამისდა მსგავსი რამ ყოველ ჩემს წიგნში შეგხვდებათ, ცხადია, რაღაც სიახლით შეკაზმული.

* * *

ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲮᲕᲘᲡ ნაკლებობა დანაშაულის ჩადენის განწყობას ქმნის.

* * *

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ აბრუ-სახელი უპირველესი აუცილებლობაა თაღლითისთვის.

* * *

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ უმრავლესობას მკვლელობის ჩადენა ძალუძს, უკეთუ ამას აიძულებენ. საერთოდ, იქნებ არც ჩაედინათ მკვლელობა, მაგრამ განსაკუთრებული, პირადი მნიშვნელობა აქვს ამ ადამიანთათვის მკვლელობას.

* * *

ᲣᲙᲔᲗᲣ მართლა მორიდებული, მოკრძალებული ხართ, ვერცროდის წერას ვერ შეძლებთ, მაგრამ მაშინ ვერას გაუგებთ ამ გასაოცარ შეგრძნებას, როს ამა თუ იმ აზრის ტყვეობაში აღმოჩნდებით, ზუსტად წარმოიდგენთ, როგორ გამოხატოთ ის აზრი, უცებ ფანქარს დასწვდებით და უკიდურესად აღტყინებული დაიწყებთ წერას.

* * *

ᲕᲘᲜᲪ მკვლელობას სჩადის, თითქმის ისევ მუდამ კლავს ვისმე – ხანისად ისევ და ისევ.

* * *

ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲗᲘ ბევრად მეტ ყურადღებას ვაქცევ, ვიდრე დამნაშავეთ.

* * *

ᲑᲝᲚᲝᲡ და ბოლოს იმდენი დანაშაულია ჩადენილი, ბევრად ნაკლები თანხის გულისთვის, ვიდრე ხუთასი ფუნტია! ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა რაოდენობის ფული სჭირდება ადამიანს. ყველაფერი შედარებითია.

* * *

ᲐᲮᲐᲚᲘ დეტექტიური რომანების სიუჟეტებს შინ ჭურჭლის რეცხვის დროს ვპოულობ. ეს ისეთი სულელური საქმეა, ჩემდა უნებურად მიჩნდება აზრი მკვლელობაზე.

* * *

ᲫᲛᲠᲘᲡ მიერ ცოლის მოკვლა მკვლელობის ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა. რასაკვირველია, შეიძლება, დანაშაულის წარმოუდგენელი მიზეზის მოგონება, მაგრამ ეს დამაჯერებელი არ იქნება მხატვრული თვალსაზრისით.

* * *

ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ რამ შეგრძნებაა: წიგნი თითქოს შენში იზრდება, ხანისად ექვსი-შვიდი წელიწადი და ზუსტად იცი, რომ ოდესმე დაწერ, ის კი სულ იზრდება და იზრდება, რათა ერთხელ იმად გადაიქცეს, რაც უკვე არის. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, წიგნების წერა იგივეა, რაც დივნის ბალიშის ქარგვის უნარის ბუნებრივი განვითარება.

* * *

ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ჩემი წიგნი ზუსტად ისეთი არ გამოსულა, როგორც თავიდან იყო ჩაფიქრებული და არცროდის კმაყოფილი არა ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი წიგნი თუ მართლა უვარგისი გამოდგებოდა, გამოქვეყნებით არცროდის არ გამოვაქვეყნებდი.

* * *

ᲣᲙᲔᲗᲣ ქალი მკვლელობაზე წასვლას გადაწყვეტს, ამ მკვლელობის ჩასადენად გულგრილობაც ყოფნის და სიმშვიდეც, რომ გული ისეთნაირად არ აუჩუყდეს, ვაიმე ეს რა ვქენიო და ინანოს.

* * *

ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲣᲠ ინტრიგაში ყოვლის უფრო მთავარი ის არის, რომ თავიდანვე ნათელია, ვინც მკვლელია, თუმცაღა საქმის მსვლელობისას აშკარავდება, რომ ეს მთლად ასე არ არის და, როგორც ჩანს, ეჭვმიტანილი უდანაშაულოა, არადა, სინამდვილეში მაინც სწორედ მან ჩაიდინა დანაშაული.

* * *

ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ, რომ მკვდარზე ან კარგს უნდა ვამბობდეთ, ან არცრას. ამ ნათქვამს სისულელედ მივიჩნევ, სიმართლე მუდამ სიმართლედ დარჩება. თუ მაინცდამაინც ვისმე განვსჯით, თავის შეკავება ცოცხლებზე ლაპარაკისას გვმართებს. იმათ ვაითუ ვაწყენინოთ მკვდართაგან განსხვავებით.

* * *

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ მკვლელი, ალბათ, ვიღაცის კარგი ნაცნობია.

* * *

ᲘᲥᲜᲔᲑ დანაშაულის გამოძიებაში არცრა გამეგება, მაგრამ ერთი რამ მტკიცედ ვიცი: პირველი კითხვა, ასეთ შემთხვევებში მუდამ რომ ჩნდება, არის: „ბოლოს ვინ ნახა გარდაცვლილი ცოცხლად?“ და ამ მომენტიდან ადამიანს ეჭვის თვალით უცქერენ.

* * *

ᲩᲔᲛᲘ დეტექტიური წიგნებიდან ყოვლის უფრო კმაყოფილი ვარ ორით: ერთია „მრუდე სახლაკი“ და მეორე „გამოცდა სიძულვილით“. ამას წინათ „მოძრავი თითი“ რომ წავიკითხე, ჩემდა გასაკვირად, აღმოვაჩინე, რომ არც ის არის ცუდი; დიდი გამოცდაა შენ მიერ ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის წინათ დაწერილის გადაკითხვა. შეხედულებები იცვლება და ყველა წიგნს არ ძალუძს ამ გამოცდის გაძლება. ზოგიერთი უძლებს, ავტორი თავისი წიგნების მსაჯი არ არის.

* * *

ᲕᲘᲜ იფიქრებდა, რომ ისეთი დრო მოვიდოდა, როცა დანაშაულზე დაწერილი წიგნი ძალადობისკენ უბიძგებდა ადამიანს და სადისტურ სიამოვნებას მოჰგვრიდა იქ აღწერილი სისასტიკე? შეიძლებოდა ვარაუდი, რომ საზოგადოება აჯანყდებოდა ასეთი წიგნების წინააღმდეგ. სულაც არა – სისასტიკე, სამწუხაროდ, სავსებით ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲖᲔ

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲜᲘ ერთ-ერთი ის ჯილდოა, ასაკს რომ მოაქვს და ამასთანავე, საამო ჯილდოა.

* * *

ᲔᲡ სრულიად უმნიშვნელოა. აი, რატომ არის საყურადღებო და საგულისყურო.

* * *

ᲠᲐᲪ კი ოდესმე არსებობდა, ყოველივე მარადისობაში განაგრძობს არსებობას.

* * *

ᲡᲣᲧᲝᲕᲔᲚᲘ უბედურება ფულის ან უფულობის გამო ხდება.

* * *

ᲡᲘᲪᲠᲣᲔ სიმართლეზე არანაკლებ გვაგებინებს რასმე, თუ მოსმენა ვიცით.

* * *

ᲗᲕᲘᲗ სიტყვა „კუნძულშია“ რაღაცნაირი მაგიური მიმზიდველი ძალა. თუ კუნძულზე ცხოვრობ, სამყაროსთან კავშირს კარგავ. კუნძული თვითონ არის დამოუკიდებელი სამყარო.

* * *

ᲜᲣᲠᲪᲠᲝᲓᲘᲡ წინასწარ ცრემლთ ნუ ღვრი, თუ ზუსტად არ იცი, რა მოხდა.

* * *

ᲐᲠ არის ამქვეყნად უფრო ფართო უფსკრული, ვიდრე იმათ შორისაა, ვინც ზღვის ავადმყოფობით იტანჯება და იმათ შორის, ვისაც ზღვაზე მოგზაურობა არ სწყენს. არცვის იმათგანს არ ძალუძს მეორის მდგომარეობის გაგება.

* * *

ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ კარგი რამ არის, ოღონდ, როცა ფსიქოლოგი ფსიქოლოგობს. უბედურება ის არის, რომ ჩვენთან სუყველა მეორე მოყვარული ფსიქოლოგია.

* * *

ᲗᲐᲜᲓᲐᲧᲝᲚᲘᲚᲘ სნობიზმის ის გამოვლინებანი, ჩემი ბავშვობისთვის უცხო რომ არ იყო, არც ისე აუტანელია, როგორც სიმდიდრიდან და ინტელექტიდან წამოსული სნობიზმი. ამუამინდელმა ინტელექტუალურმა სნობიზმმა შურისა და ბოღმის განსაკუთრებული ფორმა წარმოშვა.

* * *

ᲐᲠᲘᲡ ერთი ესპანური ანდაზა, რომელიც ყოველთვის მომწონდა: „აიღე, რაც გინდა, ოღონდ სრულად გადაიხადე, ბრძანებს უფალი“.

* * *

ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ვარ, არცრა არის უფრო თვითდამანგრეველი, ვიდრე ჯიუტი მცდელობაა იმ დარგში დასამკვიდრებლად, რომელშიც ვერცროდის მოწინავეთა რიგებში ვერ გახვალ.

* * *

ᲠᲐᲪ არ უნდა საშინელი იყვეს, ჭეშმარიტება უცილობლად იზიდავს იმის გონებასა და წარმოსახვას, ვინც ესწრაფვის ამ ჭეშმარიტებას.

* * *

ᲐᲚᲑᲝ, როგორც სიტყვების წაკითხვის ჩვეულება, ისეა, ლაზღორს, ანუ ასო-ასო კითხვას, არ მივმართავთ. პატარა ბავშვმა სიტყვის ერთიანად ამოკვეთა ჯერ არ იცის – ნამეტანი მცირე გამოცდილება აქვს. მოზრდილი ადამიანი კი სიტყვას პირველი დანახვისთანავე იმიტომ ცნობს, რაკი ის ასჯერ მაინც უნახავს.

* * *

ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ სწორედ ის თვისებაა, რის დაფასებასაც ათას დარჯაკში გამოვლილი ადამიანები რომ სწავლობენ. ბრმა ერთგულება მთელი ცხოვრება თან მდევს, ბოლოს ხან აჯილდოებენ.

* * *

ᲗᲣ მარჯვედ ვიყენებთ, სიტყვები ჩვენი შიშველი საქციელის უხამსობის კარგა გვარიანად დაფარვის საშუალებას გვაძლევენ.

* * *

ᲡᲣᲚᲐᲪ არ ვფიქრობ, რომ აუცილებლობაა გამომგონებლობის დედა. ჩემი აზრით, გამომგონებლობა უშუალოდ უსაქმურობით, ცუდაობით წარმოიშობა, იქნებ აგრეთვე სიზარმაცით, რათა მავანმა თავი დაიცვას პრობლემათაგან.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №244-257

ბოდგისხევის ცნობილ ბაზარზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ვინ რას ყიდის და ვინ რას ყიდულობს... მყიდველის დასაგულისყურებლად აქეთ-იქიდან, ხმამაღლა, უკვე ნაცნობი, ტრადიციული სავაჭრო სიტყვები გაისმოდა:

– აბა, აქეთ, გუდის ყველი!

– ეს ღორები ტყეში მყავ გაზრდილი. ქონი სულ ფენა-ფენა აქ!

– აბა აქეთ, სუფთა „სემიჩკის“ ზეთი!

– ამ ხბოი დედა თორმეტ ლიტრ იწველის დღეში!

– ჩემ ქათმებ სიმინდი არ მაჭკლებია!

– აბა იაფად ვირი, თავისი „ტაჭკითა“! და უამრავი სხვა...

მოჩარდახული ურმიდან ცხვრის ბღავილი ისმოდა. აქით ხორცი, იქით სასოფლო იარაღები. ბორცვებად დახვავებული კარტოფილი და კომბოსტო, დახლებზე ათასნაირი ბოსტნეული თუ ხილი. აქვე არის ამ მხარეში დამზადებული თიხის ჭურჭელი, სადაც შიგადაშიგ პატარა ზომის ქვევრები მოჩანს. ერთი სიტყვით, რა გინდა სულო და გულო, რომ არ იყოს აქ. ამ ბაზარს ყიდვა-გაყიდვის გარდა, ერთი განსაკუთრებული დანიშნულება აკისრია: აქ ხდება დიდი ხნის უნახავი ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების შეხვედრა. მიდის სჯა-ბაასი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე საუბარი.

ბაზარში მზესუმზირის ზეთის საყიდლად ჩამოსულიყო ანაგელი მუთაქაანთ ლამარა მაზანაშვილი. ფიქრის ბურუსში გახვეული ვიღაცის ხმამ გამოაფხიზლა:

– ლამარა, შენ შემოგევლე, რამდენი ხანია, არ მინახიხარ. რასა შვრები, როგორა ხარ, შვილები როგორ არიან? – ემოციებისგან აფორიაქებული ეკითხებოდა ყოფილი თანასოფლელი, ვარდისუბნელი ნათელა.

ერთმანეთს მონატრებულებს, სალაპარაკოც ბევრი დაუგროვდათ. იქვე აკაკის ხის ჩრდილში მიდგნენ. მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ პირადულზეც გადავიდნენ:

– ავთო რასა შვრება, იღბლიანი გამოვიდა შენი არჩევანი, კმაყოფილი ხარ? მახსოვს თქვენები როგორ გეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ მაინც შენი გაიტანე, – შეაპარა ნათელამ.

– მარტო შეხედულებით არ უნდა შეაფასო ადამიანი. თვალები რამ დამიბრმავა, მშობლებს როგორ არ დავუჯერე? სასმელს ეტანება, ზარმაცი და უსაქმურია. ორ შვილს რჩენა უნდა. წელებზე ფეხს ვიდგამ, მთელი ოჯახი ჩემს კისერზეა. მე ყველაფერს როგორ გავწვდები? აღარა ვარ სათქმელი. აღარც კი მგონია, ქალი თუ ვარ. არა, ჩემთვის მამაკაცი არ არსებობს. ლამის გავგიჟდე. ოჯახის დანგრევაც არ მინდა! – გული იჯერა დადარდიანებულმა ლამარამ.

– რას იზამ, ეტყობა, ესაა შენი ბედი. ჩვენცა გვაქვს არა ერთი საფიქრალი და სადარდებელი, მაგრამ ვითმენთ და ვეგუებით. ალბათ, ასეთია ჩვენი ხვედრი. არადა ამ ქვეყანაზე ერთხელ ვართ მოსულები. რაღაცამ ხომ უნდა გაგახაროს, ერთხელ მაინც ხომ უნდა იგრძნო ადამიანური სითბო. – ვითომ დაამშვიდა ნათელამ.

საუბარში საკმარისი დრო გავიდა. მზემ თავისი სიმხურვალით იქაურებს თავი შეახსენა. ბაზარი ნელ-ნელა დაიშალა. ხალხი თანდათან შეთხელდა. ავტობუსის მოლოდინში, გაჩერებაზე ხის ჩრდილს შეფარებულ ლამარას ნამზეური, სასიამოვნო სახე დაჰღონებოდა. საზაფხულო კაბაში მისი მიმზიდველი ფერ-ხორცი გამომჭვევად გამოიყურებოდა. ჩაფიქრებულს მეზობელი გუჯა ვარამაშვილის ხმა შემოესმა:

– ლამარ, სახლისაკენ ხომ არ მაიდიხარ?

ლამარამ ჟიგულში დარჩენილი ერთი ადგილით ისარგებლა და მეზობლებს დაემგზავრა. სახლში მისულს, უამრავი საზრუნავით გათოთხარებულს, თავზე საყრელი საქმე ელოდებოდა. დღედაღამ მუხლჩაუხრელად შრომობდა. ავთო, როგორც ყოველთვის, მეზობლებში დასალევად იყო წასული, გაიბლურჩებოდა, გაილეშებოდა და აღარც სახლი ახსოვდა და აღარც კარი. ცოლ-შვილი სულ ფეხებზე ეკიდა, მარტო თავის მუცელს ჩასტიროდა და იმის ამოყორვაზე ფიქრობდა. ბავშვები სოფლის კლუბიდან ჯერ არ მოსულიყვნენ.

გულდამძიმებული შევიდა ლამარა სახლში, ყელში ბოღმა მოსწოლოდა. თავისი უიღბლო ბედის შემხედვარეს, ცრემლებს ძლივს იკავებდა. სიმწრით ამოიოხრა. ბევრი რამ იყო გამოთქმული ამ მოოხვრაში. იმის ქალურ მხრებს ცხოვრება მთელი სიმძიმით დასწოლოდა. ტანსაცმლის კარადის კარში ჩასმულ სარკეში თავისი გარეგნობა უხასიათოდ შეათვალიერა. ძველი ეშხი და სილამაზე ჯერ ისევ შემორჩენოდა. დოქით წყალი მოიყუდა, რაკრაკი დააწყებინა. ეზოში არავინ იყო. ირგვლივ სიცხის ბუღი იდგა. მძვინვარე მზე, ალმურმოდებულ დედამიწას მდუღარეს ასხამდა. ჭრიჭინები თავისი გამაყრუებელი ჭრიჭინით იკლებდნენ იქაურობას. ლამარამ ერთი კიდევ მიმოიხედა, ეზო შეათვალიერა. სიცხისაგან გათანგულმა და ილაჯგაწყვეტილმა ზედა მოსაცმელი გადაიძრო. მოხდენილი მხრები გამოუჩნდა. ლიფი გაიხსნა, ძუძუები გაითავისუფლა, შვებით ამოისუნთქა. მის სხეულს ათქვირებული, გამომწვევად მომზირალი მკერდი ამშვენებდა. იქვე საჩეხის ბოძზე დაკიდებული პირსაბანიდან წელზემოთ წყალი შეისხა, გაგრილდა. პირი-სახე და ცრემლიანი თვალები ჩამოიბანა, ცოტა დამშვიდდა, გახალისდა. ოთახში შევიდა, საწოლზე წამოწვა და ღონემიხდილს უცებ ჩაეძინა. ბავშვების ხმაურმა გამოაღვიძა. შვილებს სადილი გამოუწყო. ბავშვები წიგნებს მიუსხდნენ, ლამარა საოჯახო საქმეებს შეუდგა.

როგორც ყოველთვის ავთო საღამოს მთვრალი მოვიდა. ლამარას ლამის ისტერიკები დაემართა, თავს ვეღარ იკავებდა. განერვიულებულმა ხმამაღლა დაიწყო მოთქმა:

– აგრემც კი გაგისკდება ეგ მუცელი, შე უდღეურო, შენა! ვერ გაძეხი არყის და ღვინის სმით. რისი მაქნისი ხარ, ეგრე როდემდე უნდა იყო? ცოლი შენ არ იცი და შვილები. სადა მქონდა თვალები მე უბედურს, შენნაირ ლოთს და უქნარას რომ გავყევი. შვილებს რა ვუყო, თორემ შენ კი ვიცი, რისი ღირსიცა ხარ. – არ ცხრებოდა ქალი, ხმააწეულს სიბრაზისგან ლოყები წამოსწითლებოდა, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.ხმამაღლა ქოთქოთებდა. გაავებული ცოლი სეტყვასავით აყრიდა და აყრიდა ქოქოლას. იწყევლა და იპირშავა. ენიდან სულ ცეცხლი სცვიოდა, მაგრამ შენც არ მომიკვდე. ავთოზე ეს სულაც არ მოქმედებდა, ყურადღებასაც არ აქცევდა. თითქოს ქალის სიტყვები მას არ ეხებოდა. დაჭმუჭნილი და სასმელ–საჭმელისაგან დასვრილი პერანგი უსწორმასწორად ქამარში ჩაეჩურთა, სახე მოღრეცოდა. ჩასისხლიანებული და დაელმებული თვალებით საცოდავად გამოიყურებოდა, თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. საწოლთან ბარბაცით და მთქნარებით მივიდა, გაუხდელად მიწვა და უმალ ჩაეძინა. მძინარეს ლამარამ და ბავშვებმა გახადეს ტანსაცმელი.

შუაღამისას, ნიფხავ-პერანგის ამარა ავთო, ელდანაკრავი შეშლილივით ღრიალით წამოვარდა და გონსგადასული ლამარას მივარდა:

– დაგიჭირე, შე ძუკნავ! მღალატობ არა? დროზე თქვი ეხლა ყველაფერი, თორემ არ ვიცი, რას გიზამ! ვისთან დადიხარ, შე უნამუსო, შენა! – ყბადაჟანგული ათასნაირ სისულელეებს ბოდავდა. ლამარას თავზე მტარვალი გამომეტყველების კაცი დასდგომოდა და ყვავივით დასჩხაოდა, კბილებს აკრაჭუნებდა. სიშლეგემდე იყო მისული.მრისხანე სახით იბღვირებოდა. უცნაური აზრები მოსდიოდა თავის ლაყე თავში.

– რა მოგელანდა, შე საცოდავო! ლოთობისაგან ისე ხარ გამოლენჩგული, ვინ იცის, სიზმარში რა ათასგვარ სიშტერეებს ნახულობ? შენ კიდე იარე ზაქარასთან დასალევად, უარეს სიზმრებსა ნახამ, შე სამიწევ, შენა! – მიაძახა ენამწარედ შეძრწუნებულმა ქალმა.

კრიჭაშეკრულ, გაღრეცილ და ბედოვლათ ავთოს ყბა ჩამოვარდნოდა. გადრუნჩული და შუბლშეკრული ერთხანს თავისთვის ხმაამოუღებლად იდგა. თავისი გამომეტყველებით, სიბრიყვის განსახიერება იმზირებოდა.

ავთომ ჰაერი ერთი ხარბად შეისუნთქა და კუდამოძუებული დამნაშავე ძაღლივით, ტახტთან ფეხარეული მივიდა და ჩამოჯდა. სახეზე ზეწრისფერი დასდებოდა. დაწითლებულ თვალებს გაუგებრად აპარპალებდა. ბალანაშლილი, გალექილი და მძიმე ფიქრებით დარეგვილი, დიდხანს დაჰყურებდა იატაკს. ბოლოს რიხრახდაკარგულს, გათანგულსა და გაცოდვილებულს გაჭირვებით ჩაეძინა და ღამის წყვდიადში საშინელი ხვრინვა ამოუშვა.

* * *

სოფელი სავსეა ნაირ-ნაირი სოციალური ფენის, მდგომარეობის, საქმიანობის, აზროვნების თუ მისწრაფებების ადამიანებით, რომლებიც თავიანთი ბუნებრივობით ალამაზებენ და ამრავალფეროვნებენ, მიმზიდველს ხდიან მის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას. საზრუნავ-საფიქრალი კი მართლაც უამრავი და გამოულეველი აქვთ, რასაც ზოგჯერ ფათერაკებიც სდევს თან. ანაგელი ჩოფურაანთ გუჯა ვარამაშვილი შეშას ამზადებს და ყიდის, რაც მისი შემოსავლის ერთადერთი წყაროა. დღესაც თავისი ორხიდიანი მანქანით ჭიანტყეში მიდის შეშის დასამზადებლად. მანქანა დატვირთა და სოფლის სავენახეებს ამოუყვა. გზად მეზობელი ლამარა შემოხვდა და ბოდა თავსგადახდენილი. თავის ბედ-იღბალს წყევლიდა. გუჯასთან გატარებული სასიყვარულო ამბავი თავს ახსენებდა. ოხვრა აღმოხდა. ყველაფერი ისევ თვალწინ ედგა, გულზე ლოდივით აწვა. დაზაფრულს გონება აღარ ემორჩილებოდა. სირცხვილი სტანჯავდა. ბოღმა კისერზე მოსწოლოდა. წყლით გაისველა გამშრალი ყელი. ცრემლმორეული სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა:

– აბა, რა უნდა გითხრა დედი! რამხელა შეცდომა მაქვს დაშვებული. ავთოს ატანა აღარ შეიძლება. ღვინისგან და არყისგან მთლად გათიშულია. ოჯახისთვის იოტისოდენასაც არაფერს აკეთებს. მთელი საქმეები მე მაწევს კისერზე. რათ მინდა ამნაირი ქმარი? გინდა, მყოლია და გინდა – არა. – ალეწილი სახით ლაპარაკობდა ლამარა.

– არ დაგვიჯერე, თავი მოიკალი, ვიდრე მაგას გაჰყვებოდი. ეხლა რაღა დროსია. შვილები გყავთ. მაგათ გაზრდა და ყურადღება უნდათ. რა ვქნათ, რაც არი, ეგ არი, უნდა შეეგუო. მე და მამაშენი პენსიებიდან რაღაცას მოვიკლებთ და ყოველთვე გამოგიგზავნით. ჩვენ, როგორც იქნება, გავიტანთ თავს. – დაამშვიდა მაყვალამ.

ამასობაში ბავშვებიც მოვიდნენ სკოლიდან. ბებიის დანახვას შეძახილებით შეხვდნენ. ხალისით მოუყვნენ სწავლაში წარმატებების შესახებ, რისთვისაც მაყვალა ბებომ გადანახული პენსიიდან შვილიშვილები ფულით დაასაჩუქრა. ლაპარაკით დაიღალნენ. ყველამ ერთად ისადილა. ერთმანეთი გულიანად მოისიყვარულეს. ამასობაში მზე გომბორის ქედისკენ გადაიწვერა. ლამარამ და ბავშვებმა მაყვალა შარაგზამდე ჩააცილეს, ერთმანეთი გადაკოცნეს და ვარდისუბნისკენ მიმავალ ავტობუსში ჩასვეს.

ეს დღეც მიილია. ლამარას ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა თავში. გუჯასთან შემთხვევა თან უხაროდა, თან აღიზიანებდა. „რაგორ გაგრძელდება ეს ურთიერთობა. ეს ამბავი არ დაიმალება. სოფელია, ყველაფერი გამოაშკარავდება. მართალია, დიდი ხანი არ ყოფილა მამაკაცთან, მაგრამ მაინც როგორ იოლად დაჰყვა გუჯას განზრახვას. ავთო კი არის ღირსი, მაგრამ შვილებმა რა დააშავეს?“ – კითხვები არ ასვენებდა, საკუთარ თავს კიცხავდა. რა ქნას, შეეგუოს გუჯასთან ურთიერთობას? კარგად იცის, ამას რა მოჰყვება. უნდა გადაწყვიტოს: ან თავის გრძნობებს აჰყვეს და გუჯასთან ურთიერთობა განაგრძოს, ან დაივიწყოს, რაც მოხდა და გაწყვიტოს კავშირი იმასთან. ლამარა საკუთარ თავს ებრძოდა. ახლა გამოჩნდება – ეყოფა ნებისყოფა, თუ არა. ორჭოფულ მდგომარეობაში იყო. გონებაში უამრავი პასუხგაუცემელი მოსაზრება ტრიალებდა. შინაგანი ხმა, კარნახობდა, რომ ამის ასე დატოვება დიდი შეცდომა იქნებოდა. არა! შვილებს ვერ უღალატებს, გადაწყვიტა ლამარამ. მიუხედავად გუჯას არა ერთი მცდელობისა, ლამარამ შეხვედრებზე სასტიკი უარი განუცხადა.

ერთმანეთში გადახლართული, ერთფეროვანი დღეები დღეებს მისდევდა. უინტერესო ცხოვრება ზანტად მიიკვლევდა თავის გზას. სირცხვილის მწარე განცდები ლამარას სიცოცხლის ბოლომდე არ მოსცილებია.

გელა ძოძიაშვილი

ბელეტრისტის ცნობიერების ნაკადი

მიმდინარე წლის 13 დეკემბერს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი რექტორის, პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ზურაბ ხონელიძისა და ამავე უნივერსიტეტის თანამშრომლის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ იური პაპასქუას ინიციატივით გაიმართა შემოქმედებითი საღამო თემაზე: „ცნობიერების ნაკადი გური ოტობაიას ნაწარმოებებში“.

ასე იუწყებოდა გემოვნებით გაფორმებული აფიშა, მაგრამ თავისი არსით ეს არ იყო ვიწრო სპეციალიზაციით დაინტერესებული ღონისძიება, რომელიც თითქოსდა XX საუკუნის რევოლუციური ლიტერატურული მეთოდის „ცნობიერების ნაკადის“ სტილისტიკაზე მსჯელობით უნდა შემოფარგლულიყო. ეს შეხვედრა გახლდათ შვიდ ათეულ წელიწადს მიტანებული გური ოტობაიას შემოქმედების შემაჯამებელი პირველი სერიოზული შეკრება მის ცხოვრებაში.

ნოდარ ჭითანავა, გური ოტობაია, ზურაბ ხონელიძე

ამ ღონიძიებაზე მოვიდნენ გური ოტობაიას თაობელი კოლეგები: **ნომადი ბართაია, ზაურ კალანდია, პაატა ნაცვლიშვილი, ტიტე მოსია, ვახტანგ ხარჩილავა, ზაურ მოლაშხია, გია ხუბუა, ბესო ლაგვილავა, ზაურ ნაჭყებია**... ახლო მეგობრები: **როსტომ შამუგია, ავთანდილ არაბული, გიორგი ფარულავა**, მამა-შვილი **ზურაბაშვილები — ზურაბი** და **დავითი, ლევან მებონია, მერაბ ნაჭყებია, მიხეილ ჯიბუტი, მერაბ ჩუხუა, ნუგზარ ანთელავა, მანანა სოტკილავა, მურმან კვარაცხელია, იური მაკალათია, ირანდა კალანდაძე, თამაზ ხუბუა, დავით სართანია, ნუგზარ ტიბუა,** სხვანი და სხვანი.

ღონისძიება მიჰყავდა ფილოლოგს, გამომცემლობა „რაე“-ს დამფუძნებელს, ქალბატონ **მზია ხაჩიძეს**.

შეხვედრა მუსიკალურ-ვიზუალურად გააფორმა გური ოტობაიას ვაჟიშვილმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტმა, კომპოზიტორმა **კოკა მარგალმა** (ფეტელავა).

გური ოტობაიას შემოქმედება შთამბეჭდავად წარმოადგინეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა:

ნანა კუციამ (რომანი „სიცოცხლემისჯილი“) ყურადღება გაამახვილა მწერლის თვითმყოფად ხელწერაზე. რომ იგი ზედმიწევნით დახვეწილი სტილით ეგრევე მოქმედების შუაგულში გადაისვრის გმირებს და გხიბლავს წარუშლელი ადამიანური დრამებით;

მარინა ტურავამ ისაუბრა (რომანი „როკი“) ძალადობის წინააღმდეგ მიძღვნილი ამ ნაწარმოების თავისებურებებზე, რომ მისი პროტოტიპი **შაქრო ჭითანავა** გასაოცარი გამძლეობით თრგუნავს ადამიანების გასასრესად აღძრულ სახელმწიფო მანქანას.

სოსო სიგუამ ჩვეული პროფესიონალიზმით წარმოაჩინა XX საუკუნის რევოლუციური ლიტერატურული მეთოდის — „ცნობიერების ნაკადის“ არსი და ამ ჭრილში საინტერესოდ ისაუბრა გური ოტობაიას ბელეტრისტულ პალიტრაზე.

გური ოტობაიას პუბლიცისტურ ხელწერას გამოეხმაურნენ პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იგორ კვესელავა,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი **იური პაპასქუა**, საღამოს სტუმრის ძუძუმტე **ოთარ ხუფენია**, გური ოტობაიას მეუღლე, რეჟისორი **ნანა ხუფენია**, ნომინანტის თანაკურსელ-თანასოფლელი **მანანა სოტკილავა,** ვაჟიშვილი **კოკა მარგალი** (ფეტელავა).

გური ოტობაიას მეგრულ ლექსებს ავტორისეული თუ **კობა ჭუმბურიძის** თარგმანითურთ პერმანენტულად კითხულობდნენ — ახალგაზრდა მეცნიერი **გიორგი უსანეთაშვილი**, თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი, ახმეტელის თეატრის მსახიობი **მალხაზ მიქავა** თუ სკოლის მოსწავლე **დენის ზალდასტანიშვილი**.

წლების განმავლობაში გური ოტობაიას ღვაწლი სიტყვითა და საქმით სათანადოდ დაუფასა მშობელმა ხალხმა:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ჯემალ გამახარიამ** გულში ჩამწვდომი სიტყვით მიმართა სტუმარს და აფხაზურ-ქართული ურთიერთობის ნორმალიზაციაში გაწეული ამაგისთვის გადასცა უმაღლესი ჯილდო — საპატიო სიგელი.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ, პოეტმა **მაყვალა გონაშვილმა** ტერენტი გრანელის პრემიით აღნიშნა გური ოტობაიას თვითმყოფადი პოეზია.

რაც შეეხება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ **ზურაბ ხონელიძის** სტუმრისადმი მიმართვა მეტად ამაღელვებელი გამოდგა დამსწრე საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით ყველასგან მოულოდნელი იყო გური ოტობაიას უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევა.

მხცოვანი სახელმწიფო მოღვაწისა და მეცნიერის, თავად სოხუმის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, ბატონ **ნოდარ ჭითანავას** მიერ სათანადო რეგალიებით შემოსილმა გური ოტობაიამ მღელვარებისაგან წინასწარ დაწერილი სიტყვის წაკითხვა ვერაფრით შეძლო. მან მადლობა მოუხადა ყველას — თითოეულ იქ მყოფს და იმათაც, რომელთაც ღონისძიებაზე მოსვლა ვერ მოახერხეს.

დასასრულ, გური ოტობაიამ იუმორით დაასრულა თავისი გამოსვლა: ერთ პიროვნებას, ხოტბას რომ ასხამდნენ სადღეგრძელოში, სამადლობელი სიტყვა ამნაირად წარმოუთქვამს: ძმებო და მეგობრებო, მე ის კი არ მიკვირს, თქვენ ამდენს რომ მაქებდით და მადიდებდით, არამედ — მეც რომ თავს გიქნევდით ამის გამოო.

მამუკა ვაშაკიძე

მილოცვა

ადერკინ კოპლატაძე – 99

რა დიდებული თარიღია ორი ცხრიანი! მხოლოდ ერთი წელიღა გაშორებთ საუკუნეს!

თავისთავად ხომ დიდი და იშვიათი ცხოვრების გზაა 99 წელი, მაგრამ როცა თითოეული ეს წელი სავსეა ქვეყნისა და ხალხისთვის გაწეული საპატიო საქმით, შრომით, ერთგულებით, პატიოსნებითა და ადამიანური სიკეთით, კიდევ უფრო დიდი და ღირსეული ხდება ცხოვრება, კიდევ უფრო მეტ შინაარსსა და მნიშვნელობას იძენს იგი...

სწორედ ასეთი ღირსეული შინაარსი და მნიშვნელობა აქვს თქვენს ცხოვრებას, სწორედ ასეთი ცხოვრებით იცხოვრეთ... თქვენს სახელს უკავშირდება გასულ საუკუნეში აღორძინებული ბათუმი, არაერთი საპასუხისმგებლო საქმე და თანამდებობა ათეული წლების მანძილზე, ბოლოს კი თქვენი ოცწლიანი დაუღალავი მოღვაწეობა საქართველოს პენსიონერთა კავშირში ხანდაზმული ადამიანების სასიკეთოდ, მათი მორალური და სოციალური მხარდაჭერისთვის.

საამაყოა, რომ თქვენი ძალისხმევით შექმნილი ეს მრავალათასიანი ორგანიზაცია დღეს საქართველოს ყველა რეგიონში და თბილისის ყველა რაიონში ფუნქციონირებს. იგი ერთი დიდი ოჯახია, სადაც მისვლა უხარია ყველას, რადგან კარგ სალამსა და კეთილ სიტყვას არავისთვის იშურებენ. ამიტომ არის, რომ ასე ეიმედებით დღესაც პენსიონერებს, რაც მუდამ იგრძნობა მათ გულწრფელ სიყვარულში და უდიდეს პატივისცემაში თქვენდამი.

ძვირფასო, ბატონო ადერკინ!

მადლობას გიხდით თქვენ მიერ ათეული წლების მანძილზე გაწეული ღვაწლისა და შრომისათვის! იმედი გვაქვს, მისი სასიკეთო ნაყოფი კიდევ უფრო იმძლავრებს და მომავალში უფრო მეტად წაადგება საქართველოს პენსიონერებს! თქვენ კი, თქვენთვის ჩვეული, სიცოცხლის დაუცხრომელი ჟინითა და მხნეობით კვლავაც დიდხანს გვახარებდეთ ჩვენც და თქვენი დიდი და ძვირფასი ოჯახის წევრებსაც.

გულითადად გილოცავთ დაბადების 99-ე დღეს!

ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო, საამაყო ადამიანო!

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა

კაცი ბერმუხა!

ძვირფასო მკითხველო, ჩემო ქართველებო!

ქართველი ერის ღირსეული შვილი, სახელმწიფო მოღვაწე, პენსიონერთა კავშირის დამფუძნებელი თავმჯდომარე, ბათუმისა და თბილისის საპატიო მოქალაქე, ბატონი **ადერკინ კოპლატაძე** 99 წლისაა!

ჩემო საყვარელო უფროსო მეგობარო, გილოცავ ამ საოცნებო საიუბილეო თარიღს 27 დეკემბერს. ვულოცავ თქვენს სამაგალითო ოჯახს.

ბედნიერი ვარ, რომ ვარ ქართველი
შენი ზიარი ცა მხურავს ქუდად,
ხარ ბუმბერაზი, კაცი ბერმუხა,
მამულიშვილიც ასეთი უნდა!

მრავალ ახალ წელს, მრავალჟამიერ!

საქართველოს პენსიონერთა კულტმენეჯერი, პოეტი

ნანა დარჩიაშვილი

წარჩინებულ სტუდენტებს დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები გადაეცათ

წარმატებულ სტუდენტებს იკუპირებული ტერიტორიებიდან დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები გადაეცათ.

სტიპენდიები შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მიადგილე ლია გიგაურმა იმ სტუდენტებს გადასცა, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებში მაღალი ქულები მიიღეს.

გამარჯვებულები შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი მარიამ გვალია და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ქეთი ილურიძე გახდნენ.

ისინი სტიპენდიის სახით 300 ლარს ყოველთვიურად მიიღებენ.

◎ ლეგიონერი

„მთავარია, ვითამაშო“

ესპანური „ბასკონიას“ ქართველ კაპიტან თორნიკე შენგელიას შესანიშნავი სეზონი აქვს და პარკეტზე თითქმის ყოველთვის გამორჩეულია. „ჯვაროსანმა“ Eurohoops-თან ისაუბრა და განაცხადა, რომ მისი მიზანი NBA-ში თამაშია.

„ვგრძნობ, რომ „ბასკონია“ ჩემი მეორე სახლია. ყოველთვის არის განვითარების შანსი და მე არასდროს ვარ კმაყოფილი. სანამ კალათბურთს ვთამაშობ, NBA-ში ყოფნა ჩემი მიზანი იქნება, მაგრამ არამხოლოდ ყოფნა, არამედ NBA-ში თამაში მინდა. ამისთვის საჭიროა შესაბამისი დრო და შესაბამისი ადგილი.

ჩვენ ნამდვილად უკეთესები გავხდით და უფრო მეტ პატივისცემას ვგრძნობთ ამერიკელი კალათბურთელებისგან და NBA-ს უფროსობისგან. ახლა NBA-ს გუნდები უფრო მეტად ენდობიან ევროპელ მოთამაშეებს და მათ გადაბირებას აგრესიულად ცდილობენ“, — თქვა ჩვენმა თანამემამულემ.

შეგახსენებთ, რომ შენგელიას NBA-ში „ბრუკლინ ნეთსისა და „ჩიკაგო ბულზის“ რიგებში 45 მატჩი აქვს ჩატარებული, თუმცა, შემდეგ ევროპაში დაბრუნდა, სადაც დაოსტატება გააგრძელა და ევროლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სეზონის ფინიშზე

დირსეული გვირგვინი

ირანის კარატეს ფედერაციის ორგანიზებითა და მსოფლიოს კარატეს ფედერაციის (W. S. R. F.) წესებით გამართულ სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის საერთაშორისო ჩემპიონატს თეირანმა უკვე მეთხუთმეტედ უმასპინძლა.

აღნიშნულ პრესტიჟულ ტურნირში საქართველოს შოტოკან კარატე დოს ფედერაციის გუნდმა, ტრადიციისამებრ, დიდი წარმატებით იასპარეზა და მეზობელი სახელმწიფოს დედაქალაქში მერვე გამოსვლა ერთბაშად 9 მედლის მოპოვებით დაასრულა — 4 „ოქრო“, 3 „ვერცხლი“ და 2 „ბრინჯაო“, თანაც, მისი 3 წევრი სამშობლოში 2-2 მედლით დაბრუნდა.

სეზონის ფინიშზე მოხვეჭილ ჯილდოებს მნიშვნელობას შემდეგი ფაქტი მატებს: სარბიელზე 20-მდე ქვეყნის 1500-მდე წარმომადგენელი იბრძოდა საპატიო კვარცხლბეკზე ასასვლელად. დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი ციფრებია.

ჩვენებურთა მონაგარი

I **ადგილი** — ნოდარ ხაჩიშვილი (ვეტერანთა ინდივიდუალური კატა), დავით გელაძე (16-17-წლიანთა ინდივიდუალური კატა), საბა აბუსერიძე (14-15-წლიანთა ინდივიდუალური კატა), დემეტრე აბუსელიძე (10-11-წლიანთა ინდივიდუალური კუმიტე, — 40 კგ).

II **ადგილი** — მზეჭაბუკ მახარაძე (უფროსთა ინდივიდუალური კატა), დავით გელაძე (16-17-წლიანთა ინდივიდუალური კუმიტე, — 65 კგ), ილია ტაკიძე (10-11-წლიანთა ინდივიდუალური კატა).

III **ადგილი** — საბა აბუსერიძე (14-15-წლიანთა ინდივიდუალური კუმიტე, — 55 კგ), დემეტრე აბუსელიძე (10-11-წლიანთა ინდივიდუალური კატა).

გეჟან დოლიძე

საფეხბურთო მოზაიკა

რეგიონთა თასის 2019 წლის გათამაშება დედაქალაქელთა გამარჯვებით დასრულდა. ფინალური შეხვედრა სფფ- ის ტექნიკურ ცენტრ „ბასას“ მოედანზე გაიმართა, ტიტულისთვის კი ერთმანეთს თბილისისა და აჭარის რეგიონული ნაკრებები შეხვდნენ. მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით 4:1 დასრულდა. თბილისელთა შემადგენლობაში „დინამოს“ აკადემიის თერთმეტმა ფეხბურთელმა იასპარეზა: ლექსო ფეიქრიშვილი (კაპიტანი), ლუკა ხელაშვილი, რატი გრიგალავა, ნიკა ბენდიანიშვილი, ლუკა ბუბუტეიშვილი, ნოდარ ვარსიმაშვილი, ლუკა შაშიაშვილი, დავით ქელდიშვილი, გიორგი ხუფენია, ლაშა პატარკაციშვილი და ალექსანდრე თურქია.

ამრიგად, საუკეთესო ნაკრები გაისად ტრადიციულად გერმანიაში გაემგზავრება და ადგილობრივ გუნდებთან ამხანაგურ თამაშებს გამართავს.

„ბარსელონას“ ახალწვეულმა, ფრანგმა თავდამსხმელმა, ანტუან გრიზმანმა ჟურნალისტებს თავისი აზრი გაუზიარა თანაგუნდელ ლიონელ მესის შესახებ.

„შესაძლოა, მესის მსგავსი ფეხბურთელი ველარასდროს ვიხილოთ. ჩვენ — მისი პარტნიორები, დიდ სიამოვნებას ვიღებთ მასთან თამაშისას და ვარჯიშების დროს. ის აბედნიერებს მწვრთნელებსა და გულშემატკივრებს. — ბურთით ისეთ სასწაულებს სჩადის, გაოგნებულნი ვუცქერთ.“ - ციტირებს გრიზმანის სიტყვებს Sport.es.

„ლივერპულის“ მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა უკმაყოფილება გამოთქვა პრემიერლიგის საშობაო კალენდრის გამო.

„26-ში და 28-ში ორი მატჩის ჩატარება დანაშაულია. ძალიან ცუდია, მაგრამ ეს რეალობაა. 48 საათის განმავლობაში ორი შეხვედრა საშინელებაა. ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ და ეს არავის ანაღვლებს.

ყოველ წელს ერთსა და იმავე პრობლემას ვაწყდებით. აქ სპორტული მეცნიერება ვერაფერს გიშველის. ორგანიზმს გარკვეული დრო სჭირდება, რათა ისევ სრულფასოვნად შეძლოს მუშაობა.“ — ციტირებს კლოპის სიტყვებს Sportskeeda.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ნატალიას უცნაურობანი

ბრაზილიელი მოდელი ნატალია ფელიქსი ერთობ უცნაური და საიდუმლოებებით მოცული ვინმეა. ის არ იფიქროთ, თითქოს ყველაფერი რაიმე მისტიკას უკავშირდება და არც ლათინურ ამერიკაში ესოდენ გავრცელებულ მკითხავ-მჩხიბავობაში მხილებული შეუნიშნავს ვინმეს.

როგორც ირკვევა, ნატალია შეყვარებულებს მუდამ მალავს და ყველა გულისსწორს ისე სწრაფად შორდება, რომ კაცი ვერ გაიგებს, ან შეხვედრა რა იყო, ან განშორება. ეს მაშინ, როდესაც წარმოდგენილი ფოტოდანაც მიხვდებით, რომ ამ ასულს დასაწუნი და ტუჩასაბზუებელი ნამდვილად არაფერი სჭირს.

ფელიქსის ერთ-ერთი უკანასკნელი სატრფო ბრაზილიელი ფეხბურთელი დუგლას კოშტა გახლდათ, რომელთან ნეტარყუჩობა სულ რაღაც ორიოდე თვე გაგრძელდა. მანამდე ეს გოგო მექალთანეობით სახელგავარდნილ ნეიმართან ერთადაც შენიშნეს და ის ამბავიც კონკიას ზღაპარივით მალე დასრულდა.

კობა კობახიძე

სულთათანა

საქართველოს მთიანეთის მესაიდუმლე

ბერდო გოიშვილის არდავიწყება

გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის სწავლული მდივანი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და მოღვაწე, ბატონი **ბერდო გოიშვილი**.

ბერდო გოიშვილი დაიბადა თბილისში 1930 წელს, ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-7 სკოლა და სტალინური სტიპენდიით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი. წარმატებით გაიარა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურა მინერალოგია-პეტროგრაფიის სპეციალობით და დაიცვა დისერტაცია თემაზე — „დიდი წყების პეტროგრაფია“. 1957 წელს მუშაობა დაიწყო კავკასიის მინერალურ ნედლეულთა ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. მისი გეოლოგიური მოღვაწეობა მოიცავდა კავკასიის უძველეს კრისტალურ ფიქლებსა და გრანიტულ მასივებს, რასაც უძღვნა 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი; მისი ნაშრომები: საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სასარგებლო წიაღისეული (თბილისი, 2009); მონტოლოგია: მთათმცოდნეობა (თბილისი, 2004); საქართველოს სასაზღვრო სივრცის გეოგრაფია: სახელმძღვ. სამხედრო სასწავლებლისათვის (თბილისი, განათლება, 2001) სახელმძღვანელო წიგნებია ამ სფეროში. ნიჭიერმა და დაკვირვებულმა მკვლევარმა აღმოაჩინა პლაგიოგრანიტები აფხაზეთში, გვაშხარარის მარმარილოს საბადო სვანეთში, გამოავლინა პერსპექტივა ოქროს შემცველობაზე და დაქანებით გამადნების ზრდაზე ცანის არსენოპირიტის საბადოსა და კარობის ვოლფრამის საბადოზე და სხვ.

ბერდო გოიშვილმა, წარმოშობით თუშმა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა საქართველოს მთიანეთის ბუნებისა და სოციალურ-კულტურული სახის დაცვის საქმეს. მას შემდეგ, რაც აკად. ილია ვეკუამ 1969 წელს მეცნიერებათა აკადემიაში შექმნა „სვანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისია“, რომელიც მალე საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიად იქცა, ბერდო გოიშვილი იყო ამ კომისიის უცვლელი სწავლული მდივანი და მისი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი. მან მონაწილეობა მიიღო არაერთ სპეციალურ ექსპედიციაში და სხვადასხვა დროს ქვეყნის ხელმძღვანელობის წინაშე დასვა ბევრი აქტუალური საკითხი. მათ შორის იყო კანონპროექტის ინიციატივა საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ, რომელმაც საბოლოოდ მოქმედი კანონის სახე მიიღო და მთის განვითარების მნიშვნელოვან ბერკეტად იქცა.

ბერდო გოიშვილი, როგორც სიტყვამახვილი პუბლიცისტი არაერთი აქტუალური წერილით ეხმიანებოდა მთიანეთის გულშემატკივართ. „მთები გეძახით, ქართველებო!“ ასე ასათაურებდა იგი ერთ-ერთ პუბლიკაციას და გადაჭრით აღნიშნავდა: „უმთებოდ და უმთიელებოდ საქართველო საქართველო აღარ იქნება“! მისი სიჭარმაგის ბოლო წლებიც და დღეებიც ამ ფიქრს დასტრიალებდა და იმ იმედით აღესრულა, რომ საქართველოს მთიანეთს სისხლსავსე ცხოვრება დაუბრუნდება.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს მის სულს!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისია

კოლეგის ხსოვნას

ისლამ ალიევი

მიწურულმა 2019 წელმა კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა მიაყენა საქართველოს ჟურნალისტთა ამქარს: მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი ღირსეული თანამოკალმე და მეგობარი, გაზეთ „გურჯისტანის“ მთავარი ედაქტორი **ისლამ ჰაჯის ძე ალიევი**.

ეს იყო გამორჩეული პიროვნება, აზერბაიჯანელი კაცის საუკეთესო თვისებებითა და, როგორც პოეტი იტყოდა, სავსე ქართული პატიოსნებით. გვხიბლავდა მისი კარგი ქართული, საქართველოსადმი გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა, უტყუარობა და სიკეთე.

ისლამი დაიბადა 1947 წელს მარნეულის რაიონში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1970 წელს და მუშაობა დაიწყო რესპუბლიკურ გაზეთ „სოვეტ გურჯისტანში“.

მთელი მისი შრომითი ცხოვრება ამ აზერბაიჯანულენოვან ქართულ გაზეთთან იყო დაკავშირებული. გრძელი კიბე აიარა: ლიტერატურული მუშაკი, კორესპონდენტი, განყოფილების გამგე, პასუხისმგებელი მდივანი, 1993 წელს უკვე მთავარი რედაქტორის მოადგილეა, იმავდროულად — აზერბაიჯანის საინფორმაციო საგენტოს კორესპონდენტი საქართველოში. 2015 წელს, დაუვიწყარი სულეიმან სულეიმანოვის გარდაცვალების შემდეგ „გურჯისტანის“ მთავარ რედაქტორად დაინიშნა.

გულმხურვალედ და მკლავძლიერად გაუძღვა გაზეთს ამ რთულ, სასტიკ დროში, აზერბაიჯანელ მკითხველს გადაუბრუნებლად აწვდიდა მართალ სიტყვას, სინათლის, უკეთესის იმედს არ უკლავდა.

რედაქტორობასთან ერთად კვლავ აქტიურად წერდა. ღვთივკურთხეული კალამი ჰქონდა, მკითხველს უყვარდა მისი ძარღვიანი სიტყვა. წარმატებული ჟურნალისტური მოღვაწეობისთვის, ბრწყინვალე ნაკალმარისთვის ადრეულ წლებში ორჯერ დაჯილდოვდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრემიით, დიპლომით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება.

ისლამი რამდენიმე წიგნის ავტორია, არა მხოლოდ ჟურნალისტურ თემაზე, წარმატებით ცდიდა ძალებს მხატვრულ პროზაშიც. მისი მხატვრული ნაწარმოებები პოპულარული იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ აზერბაიჯანშიც.

ასეთი გახლდათ ჩვენი ისლამი. ამ მთასავით კაცში უფაქიზესი სული იყო ჩაბუდებული. სამწუხაროდ, იყო და აღარ არის. ოღონდ წავიდა მხოლოდ ფიზიკურად. დატოვა მშვენიერი ოჯახი, შვილები, შვილიშვილები... რაც მთავარია, დაგვიტოვა ნათელი სახება, კეთილშობილება, კაცურკაცობა და დაუვიწყარი მოგონებები.

ღმერთმა ულხინოს შენს სულს, ძვირფასო ისლამ!

კახაბერ ოქრიაშვილი, ლია გიგაური, დუნიამალ ჰაჯიევი, არიფ სულეიმანოვი, იმრან მალიკგასუმოვი, მარინა თეძოთუმანიძე, მარინა გიგინეიშვილი, სპარტაკ ქოგულია, ვან ბაიბურთი, ვადიმ ანასტასიადი, გურამ გოგიაშვილი, ალეშო ასლანიშვილი, მამუკა ვაშაკიძე, აზიზ დალივალოვი, ნასიბ ნასიბოვი, შახვალად აივაზოვი, ბინათ მამედოვი.

გრიპისმაგვარი დაავადებები პიკს დეკემბრის ბოლო დღეებში მიაღწევს

16-22 დეკემბერს საქართველოში გრიპისმაგვარი დაავადებების დაახლოებით 70 000 შემთხვევა აღინიშნა, რაც დაახლოებით 12 000-ით ნაკლებია გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

„ეს მონაცემები არის სეზონური მახასიათებელი და საგანგაშოდ არ შეიძლება შეფასდეს“, — ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე. ის არ მოელის, რომ წლევანდელი პიკური მაჩვენებელი შარშანდელს მიუახლოვდება.

პაატა იმნაძის ინფორმაციით, სახელმწიფო პროგრამით უფასო ვაქცინაცია ჯერ კიდევ გრძელდება და უკვე აიცრა 91 ათასზე მეტი ადამიანი. ხოლო კომერციულ სექტორში — დიდი მოთხოვნის გამო — ვაქცინის დეფიციტი შეიქმნა.

„ევექსის“, „ავერსისა“ და „ჯიპისის“ ქსელებში „რადიო თავისუფლებას“ დაუდასტურეს, რომ გრიპის ვაქცინა აღარ აქვთ.

ამასთან, ჯანდაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე აცხადებს, რომ გრიპზე სავალდებულო პროფილაქტიკური ვაქცინაცია საჭირო არ არის:

„გრიპის ვირუსი არის ყოველ წელს და ყველა ქვეყანაში. ჩვენც როგორმე გადავიტანთ გრიპის ვირუსს“.

თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი კი მოსახლეობას მოუწოდებს, გრიპის სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში არ დაუკავშირდნენ სასწრაფო დახმარებას, რადგან მათ კომპეტენცია სიცოცხლისათვის საშიში და გადაუდებელი მდგომარეობების მართვაა.

„მივმართავთ მოსახლეობას — გრიპის და სხვა მწვავე რესპირატორული ინფექციებით გამოწვეული დაავადებების პირველივე სიმპტომების აღმოჩენისთანავე, გართულებების თავიდან აცილებისა და ეფექტური მკურნალობის მიზნით მიმართონ პირველადი ჯანდაცვის რგოლს: ოჯახის ექიმს, პედიატრს, თერაპევტს, რათა მოხდეს დაავადების ზუსტი დიაგნოსტირება, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი გამოკვლევების ჩატარება, რომელთა განხორციელებაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების კომპეტენციას აღემატება.“

სანთელი

მირზა დოლიძე

ორმოცი დღის წინ ოჯახი, სანათესაო და საზოგადოება გამოემშვიდობა ღირსეულ მოქალაქეს, დოლიძეთა გვარის გამორჩეულ პიროვნებას — **მირზა დოლიძეს**.

იგი 1942 წელს დაიბადა და საინტერესო და ღირსეული ცხოვრების გზა განვლო. 1972-75 წლებში იმუშავა საქართველოს პროკურატურის სისტემაში, გახლდათ ყურადღებიანი, მცოდნე და პრინციპული ადამიანი, გამოირჩეოდა როგორც საქმის მცოდნე პროფესიონალი.

1975 წლიდან უზენაესი სასამართლოს მოსამართლე გახდა, ხოლო 1995 წლიდან საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსად დაინიშნა. როგორც კოლეგები და ახლობლები ახასიათებენ, დამსახურებული პატივისცემა და შესანიშნავი ადამიანური კვალი დატოვა, ის იყო პუნქტუალური და სამართლიანი იურისტი, რაც მეტად მნიშვნელოვანია ამ სისტემისთვის.

პენსიაზე გასვლამდე თბილისის მთაწმინდის რაიონის პროკურორად იმუშავა.

მისი გარდაცვალებიდან 40 დღე გავიდა. ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები კიდევ ერთხელ გავიხსენებთ მირზა დოლიძეს და პატივს მივაგებთ მის ხსოვნას.

დოლიძეთა საგვარეულოს სახელით
მალხაზ დოლიძე,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



აღდგენილ ბაგრატს მივულოცოთ წელი ახალი!

უქიმერიონ, შევთხოვ ჰელიოსს,
მშობლიურ ციდან მზედ რომ დაგნათის,
დე, ნურასოდეს გამოელიოს
ღვთის სახლს, თეთრ ტაძარს მადლი ბაგრატის.

იმის მოწამე თეთრი ქვებია,
იავარქმნილი იყო რა ხანი,
აღორძინებულს ესალმებიან
წმიდა სამება, ოშკი, პარხალი!

რაც გაიმარჯვა სიცოცხლის აზრმა,
რა დრო გასულა, უკვე რა ხანი?
დე, მივეახლოთ აღდგენილ ტაძარს
და მივულოცოთ წელი ახალი!

გურამ გოცირიძე,
ქუთაისი

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ბოლომდე ვერ აღდგება

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი იმდენად მყიფეა, რომ შესაძლოა, მხოლოდ 50 პროცენტის აღდგენა მოხერხდეს.

ტაძრის აღდგენითი სამუშაოები 2021 წლამდე ვერ დაიწყება.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს ცეცხლი აპრილში გაუჩნდა. ხანძრის შედეგად ჩამოიშალა ტაძრის სახურავი. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი აშენებულია XII-XIV საუკუნეებში.

მზის რკალისებური დაბნელება

აზიის მასშტაბით ადამიანები მზის რკალისებური დაბნელების თვითმხილველები გახდნენ, რომელიც ასევე ცნობილია როგორც „ცეცხლის რგოლი“.



მზის დაბნელებაზე დაკვირვება შესაძლებელი იყო შრი-ლანკაზე, ინდონეზიაში, ინდოეთსა და საუდის არაბეთში.

ჩვეულებრივ, დედამიწაზე ყოველწლიურად მზის ორი დაბნელება ხდება — როდესაც დედამიწა მთლიანად ან ნაწილობრივ მთვარის ჩრდილში ექცევა. მზის წინა დაბნელება 2 ივლისს იყო. შემდეგი დაბნელება კი 2020 წლის 14 დეკემბერს იქნება.

ნაყიდ საათში 50 000 მარკა იპოვა

გერმანელმა კაცმა ფლი მარკეტზე ნაყიდ კედლის საათში 50 000 მარკა იპოვა.

ეს ქალაქ აურიხში მოხდა. კაცმა ფული სახლში მისვლისას აღმოაჩინა. მან თანხა დაკარგული ნივთების ადგილობრივ ბიუროში მიიტანა. კანონით დადგენილი 6 თვის შემდეგ, როცა ფულს არავინ მოაკითხა, თანხა მპოვნელს დაუბრუნდა.

გერმანიაში მარკების გამოყენება 2001 წელს შეწყვიტეს, როცა ქვეყნის ოფიციალური ვალუტა ევრო გახდა. ამის მიუხედავად, ეროვნულ ბანკში მარკების ევროზე გადაცვლა დღესაც შეიძლება. ერთი ევრო 1.95583 მარკა ღირს. განძის მპოვნელი სწორედ ასე მოიქცა. მას 25 500 ევრო ხვდა წილად.

96 ძვირფასი მონეტა სამრეკლოზე...

გერმანიაში, ქალაქ ბედკამბერგში ახალგაზრდა კაცმა ეკლესიის სამრეკლოზე ძვირფასი მონეტების საგანძური იპოვა.

მონეტები სამრეკლოს რემონტის დროს პრაქტიკანტმა დურგალმა აღმოაჩინა. ის სამშენებლო ნარჩენებს აგროვებდა. 96 მონეტის ნაწილი 1618-1648 წლებშია დამზადებული. რამდენიმე ვერცხლის მონეტა კი 1551-1630 წლებში. ოქროს მონეტები კარგად არის შემონახული და თითო 3,13 გრამს იწონის.

მონეტებიდან ყველაზე ფასეულია 1623 წელს დამზადებული ვერცხლის მონეტა, რომელიც იმპერატორ ფერდინანდის (Ferdinand II) ეპოქას მიეკუთვნება.

გამოცემის ცნობით საგანძურის ღირებულება ამ დრომდე უცნობია. ასევე კონფიდენციალური რჩება ინფორმაცია თუ რა მოცულობის ჯილდო მიიღო ახალგაზრდა კაცმა საგანძურის სანაცვლოდ.

პოლიციის ძაღლი – სათამაშოების ქურდი

აშშ-ში, ქალაქ ფრანკლინში პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების თანამშრომლებმა აღმოაჩინეს, რომ ქველმოქმედებისთვის შეგროვილ სათამაშოებს ოფისში მცხოვრები ძაღლი იპარავდა.

პოლიციელები სათამაშოებს საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის აგროვებდნენ, რომელიც მათ საშობაოდ ღარიბ ოჯახებს ურიგებს. მაგრამ სათამაშოები მათთვის განკუთვნილი ოთახიდან პერიოდულად ქრებოდა, ამიტომ სამართალდამცველებმა გამოძიების ჩატარება გადაწყვიტეს და დამნაშავეც მალე იპოვეს. ეს ოფისში მცხოვრები ძაღლი ბენ ფრანკლინი აღმოჩნდა.

მას თერაპიული მიზნებისთვის იყენებენ. ძაღლი სკოლებში მიჰყავთ, სადაც ის რთულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებთან ატარებს დროს და მათ დამშვიდებაში ეხმარება.

განყოფილების თანამშრომლებმა დააფიქსირეს, როგორ მოიპარა ძაღლმა ოთახიდან სათამაშო და ერთ-ერთ ოთახში, მაგიდის ქვეშ დამალა. სწორედ იქ პოულობდნენ ადრე გამქრალ ნივთებს. პოლიციელებმა ძაღლს სათამაშოების ოთახში შესვლა აუკრძალეს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8746; ევრო - 3.1888;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6620;
100 რუბლი - 4.6632; თურქული ლირა - 0.4842;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6922;
1000 სომხური დრამი - 5.9950.

ამინდი 27 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+9
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+10
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+11

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge